პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ივლისი, ხუთშაბათი, 1973. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან. № 162 (15679)

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში



მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. 11 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის ამ პრემიის გადაცემას.

მშვიდობის საქმეში დიდი წვლილისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. 11 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის ამ პრემიის გადაცემას.

სასახლის დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობების მუშები, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

აქვე დარბაზში არიან საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, სსრ კავშირში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების ელჩები. ესწრებოდნენ უცხოელი სტუმრები — მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი საერთაშორისო საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეები, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.** მათთან ერთად პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ლე თხან ნგი**.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ვ. სკობელცინი**, კომიტეტის წევრები **ნ. ნ. ბლოხინი, გ. ტრაიკოვი, ნ. ვ. ტომსკი, რ. გუტუზო, მ. ვირე-ტუომინენი**. აქვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას ხსნის საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი **დ. ვ. სკობელცინი**. კომიტეტისა და ამ დარბაზში ყველა დამსწრის სახელით მან გულითადად მიულოცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მაღალი ჯილდო.

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა, განაგრძო კომიტეტის თავმჯდომარემ, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭების შესახებ. ყველა ქვეყანაში და ყველა კონტინენტზე მილიონობით ადამიანი კარგად იცნობს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს როგორც თავდადებულ მებრძოლს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის. სულ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, უბრალო ადამიანები გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ მას.

ამ გულთბილი, გულწრფელი სიტყვებით სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის ადამიანები მაღალ შეფასებას აძლევენ იმ კონსტრუქციულ, შორსმჭვრეტელურ, თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელსაც თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, ისოდენ მიზანსწრაფულად და მტკიცედ ახორციელებთ, — ხალხთა მშვიდობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ორატორმა დაახასიათა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში და ომის შემდეგ, და თქვა:

მშვიდობის პროგრამა, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობისადმი, სახავს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის კონკრეტულ გზებს. მოკლე ხანში იგი მეტად ფართოდ გაიცნეს და მხარდაჭერა პოვა ყველა ქვეყანაში, გახდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის შემოქმედებითი ფაქტორი. მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე მისი პოზიტიური ზემოქმედება ცხადია. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმ მუშაობის მნიშვნელობას, რომელსაც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ეწევა მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეებთან კონტაქტების დასამყარებლად. ის ურღვევი კავშირითა და სოციალისტური სოლიდარობით გაერთიანებული ქვეყნებისა და ხალხების შეკავშირების მკაფიო დემონსტრაციაა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში შეხამებულია აგრესიის მტკიცე მოგერიების ხაზი და მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების პოლიტიკური მოგვარების კონსტრუქციული ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს იმას, რომ კიდევ უფრო ფართოდ იცნონ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, როგორც სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმა, ხელს უწყობს მთელი საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღებას. და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის რომელ მხარესაც უნდა შევეხოთ, ამ ურთიერთობის რა პოზიტიურ ძვრებზეც უნდა იყოს ლაპარაკი, — იქნება ეს იმპერიალისტური აგრესიის შეწყვეტა ვიეტნამში, ევროპის ვითარების ნორმალიზაცია, ახალი ეტაპის დაწყება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, თუ გამალებული შეიარაღების შეკავების ღონისძიებანი, — ყოველივე ამში რეალურად იგრძნობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდი პირადი წვლილი.

11 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის გადაცემას. სურათზე: პრემიის გადაცემის დროს.
ტასს-ის ფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოწესრიგების გზაზე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენები იყო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, რამდენიმე ხნით ადრე კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან.

მთელ მსოფლიოში უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უვადო შეთანხმების დადებამ ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ატომური ომის დაწყების საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით აღკვეთის გზაზე. დაძაბულობის შენელებაში მიღწეული წარმატებანი უფრო სამედო, მეტიც, უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს საფუძველს ქმნიან მომავალი თაობებისათვის.

ამასთანავე ჩვენ ვიცით, აღნიშნა მან, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა პრაქტიკულად განვახორციელოთ ხელმოწერილი შეთანხმებანი, საკადრისი პასუხი გავცეთ იმ ძალებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომლებიც ხელს უშლიან დაძაბულობის შენელებას და ჯერ არ ამბობენ თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე. გისურვებთ თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს მთელ ხელმძღვანელობას წარმატებებს მუშაობაში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს შემდგომი ყოვლისმხრივი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის.

დ. ვ. სკობელცინმა წაიკითხა კომიტეტის 1973 წლის 19 აპრილის დადგენილება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1972 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს სამკერდე მედალი. დარბაზი ფეხზე ადგება, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმება ლ. ი. ბრეჟნევს. გაისმის შეძახილები „ვაშა!“, „დიდება ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“. პიონერებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დიდი თაიგულები გადასცეს.

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის პირველი საინსტრუმენტო საამქროს ზეინკალს, სოციალისტური შრომის გმირს **ვ. ს. პავლოვსკის**. მან ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** მიულოცა მაღალი ჯილდო ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით, მოსკოვის მშრომელთა სახელით.

საბჭოთა ხალხი, დედამიწის ყველა პროგრესული ადამიანი, განაგრძო ორატორმა, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იცნობს როგორც თანამიმდევრულ, შეუდრეკელ მებრძოლს მშვიდობისათვის, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის. საერთაშორისო ლენინური პრემია ლეონიდ ილიას-ძისათვის ღირსეული ჯილდოა, საბჭოთა ხალხის საყოველთაო, ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანთა საყოველთაო აღიარება მრავალი წლის აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აქტიურად იბრძვის ჩვენი ლენინური პარტიის დიადი საქმისათვის, მშრომელთა მშვიდობისა და ბედნიერებისაგან განუყოფელი კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის. მან უდიდესი წვლილი შეიტანა და შეაქვს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირობების შექმნაში.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებენ ხალხთა მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას. პარტიამ შეიმუშავა და XXIV ყრილობაზე მიიღო ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც მხურვალედ გამოეხმაურნენ დედამიწის ყველა კუთხეში, რადგან იგი შეესაბამება მთელი კაცობრიობის იმედებსა და მისწრაფებებს.

ჩვენი პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში დიდი პირადი წვლილი შეაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

დედამიწის ყველა პატიოსანმა ადამიანმა მხურვალედ მოიწონა ისტორიული დოკუმენტის — საბჭოთა კავშირ-ამერიკის „ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერა, აღნიშნა ვ. ს. პავლოვსკიმ. ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს ნაბიჯი გადადგა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით.

მან მიმართა ლეონიდ ილიას-ძეს და თქვა, რომ მოსკოვის მშრომლები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე მოლაპარაკებას. ჩვენში ყოველთვის აღტაცებას იწვევს თქვენი შორსმჭვრეტელობა, თავდაჭერილობა, პრინციპულობა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში. გვინდა განსაკუთრებით გადაგიხადოთ მადლობა იმისათვის, რომ თქვენ ყოველთვის და ყველგან ხელმძღვანელობთ მშრომელთა ინტერესებით, ლენინური, კლასობრივი პრინციპებით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს და მის გავლენას მსოფლიო ვითარებაზე უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების წარმატებანი. საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ყოველნაირად განამტკიცოს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება. ლიხაჩოვის სახელობის ავტომობილო ქარხნის მუშებმა, თქვა დასასრულ ორატორმა, მთხოვეს გადავეცი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენი კოლექტივი არ დაიშურებს ძალ-ღონესა და შრომას ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, გამოიჩენს თავის წვლილს სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

ტრიბუნაზეა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი**.

სსრ კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფნისას, თქვა მან, ჩვენს დელეგაციას წილად ხვდა ბედნიერება დღეს დასწრებოდა საზეიმო კრებას, რომელზეც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ვიეტნამელი ხალხის მეგობარს, გადაეცა ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. ჩვენი დელეგაციის წევრთა სახელით ამხანაგ ბრეჟნევს ვუძღვნით უღრმეს გულწრფელ გრძნობებს და მხურვალე მილოცვას.

ამ მაღალი ჯილდოს გადაცემა ღრმა მნიშვნელობის მოვლენაა. ეს დაფასებაა ამხანაგ ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელი მეცადინეობისა, რომელსაც ეწევიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამკვიდრებლად, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ხალხთა მაღალი რევოლუციური მიზნებისათვის, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

განვლილ პერიოდში, განაგრძო ორატორმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მოძმე საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ უწევდნენ მხარდაჭერას და გულწრფელ დახმარებას ვიეტნამელ ხალხს ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობაში. ამ დახმარებამ და მხარდაჭერამ დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების მიღწევაში, რომელიც იმით გამოიხატა, რომ ხელი მოეწერა პარიზის შეთანხმებას ვიეტნამის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობის საფუძველზე ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ.

ლე ზუანმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ გადაუხადა გულწრფელი მადლობა იმ დიდი ძვირფასი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და მოძმე საბჭოთა ხალხი უწევდნენ ვიეტნამელ ხალხს.

მან საბჭოთა ხალხს უსურვა წარმატებით განახორციელოს უდიდესი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი **გეორგი ტრაიკოვი**.

ამ ჯილდოს გადაცემა, თქვა მან, კარგ შესაძლებლობას გვაძლევს გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა და მადლიერება უშუალოდ თქვენდამი — საბჭოთა ხალხის საამაყო შვილისადმი, ვინც უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეალებისა, მისი რევოლუციური ბრძოლის, მისი თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმისა, რომლებიც მთლიანად საბჭოთა კავშირის აყვავებასა და სიდიადეს, მშვიდობისა და პროგრესის საქმეს ემსახურებიან.

ადამიანები, რომლებისთვისაც მშვიდობისათვის ბრძოლა ცხოვრების მიზანს შეადგენს, ბუნებრივია, თქვენს დაჯილდოებას უკავშირებენ მშვიდობიანი მომავლის იმედს. და ეს იმიტომ, რომ თქვენ განასახიერებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ ლენინურ პოლიტიკას და ბრძოლას ზოგადსაკაცობრიო იდეალების — მშვიდობის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო უშიშროების გამარჯვებისათვის.

ჩვენ დიდად და გულწრფელად ვაფასებთ თქვენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან წვლილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე დამტკიცებული მშვიდობის პროგრამის შემუშავებაში, თქვენს უდიდეს წვლილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მუშაობაში, აქტიურ და თანამიმდევრულ მოქმედებას ლენინური მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად.

დღეს თითოეული ბულგარელის გულს, განაგრძო ორატორმა, ავსებს გულწრფელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობები თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, საბჭოთა ძმებისადმი ყოველივე იმისათვის, რასაც გულუხვად და კეთილშობილურად აკეთებთ სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების განსამტკიცებლად, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კრისტალურად წმინდა მეგობრობის ასაყვავებლად, მეგობრობისა, რომელიც ჩვენი ხალხისათვის ღირსების, მოთხოვნის და ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეა.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი ბულგარეთში, რომელიც ახლახან დამთავრდა, გახდა ძმობის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მარად ცხოველმყოფელი მეგობრობის ახალი ბრწყინვალე დემონსტრაცია.

გასული წლის დამლევს ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით ამ მეგობრობის ნამდვილი ტრიუმფი, იმ მზარდი ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის მკაფიო გამოხატულება იყო, რომლებიც დღეს მოქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ.

დასასრულ გ. ტრაიკოვმა თქვა:

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, ბულგარელი ხალხის დიდ და გულწრფელ მეგობარს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით ძალებს საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის, მშვიდობის საქმის, სოციალიზმის იდეალების დიადი გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

სიტყვა ეძლევა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს **რომეშ ჩანდრას**. მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში არსებული მისი ეროვნული კომიტეტების სახელით, თქვა მან, ამ სხდომის მონაწილეებს ვუსურვებ სიხარულსა და ბედნიერებას. მათ ულოცავენ მსოფლიოს ყველა კუთხის ქალები და მამაკაცები, ახალგაზრდები და მოხუცები — ისინი, ვისაც მშვიდობა სწყურია და ვინც იბრძვის მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის, განიარაღებისათვის, სამართლიანობისათვის, სოციალური პროგრესისათვის. ისინი ყველანი იზიარებენ სიხარულს იმ გადაწყვეტილების გამო, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მთელი კაცობრიობის საყოველთაოდ თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის მიენიჭა მაღალი ჯილდო — საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

ეს წელი ვიეტნამელი ხალხის, იმ გმირი ხალხის ისტორიული გამარჯვების წელია, რომლის ვაჟკაცობა და სიმტკიცე აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს ხალხებს, რომლებიც მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

ეს წელი საერთაშორისო უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეში ახალ გამარჯვებათა წელია. მიმდინარე თვეში ჰელსინკის ევროპის უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის გახსნით ახალი ხანა დაიწყო დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის ევროპის და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლაში. ამ პერიოდის მანძილზე აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მშვიდობის, ეკონომიური დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის მებრძოლმა ძალებმა ასევე მოიპოვეს ახალი წარმატებანი და [illegible] კოლონიალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი კლიმატის შექმნის საქმეში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მშვიდობის პროგრამამ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მიიღო.

ყოველი ქვეყნის ხალხი თვალნათლივ ხედავს მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საბჭოთა პროგრამის განხორციელების ნაყოფს. ინდოჩინეთის ხალხები, არაბი ხალხები, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა ხალხი გრძნობენ საბჭოთა კავშირის განუწყვეტლივ მზარდ მხარდაჭერას. მათ იციან, რომ ყოველთვის შეუძლიათ იქონიონ ამ მხარდაჭერის იმედი თავიანთ ბრძოლაში, რომელიც მძლავრდება და გაფართოვდება.

რ. ჩანდრამ განაგრძო:

თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, მსოფლიოს ხალხები განსაკუთრებით გემადლიერებიან, ვინაიდან თქვენ, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე საქმიანობის შუაგულში იმყოფებით. პირადად თქვენ, თქვენთვის ჩვეული დაუცხრომელი ენერგიით, ღრმა რწმენით, იმ მტკიცე პრინციპებისადმი ერთგულებით, რომლებზეც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაა დაფუძნებული, უდიდესი წვლილი შეიტანეთ მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, ეროვნული დამოუკიდებლობის საქმის გამარჯვებაში.

ახლა ვემზადებით მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება. საერთაშორისო ურთიერთობის ახალმა კლიმატმა, რომლის შექმნაში თქვენ უდიდესი პირადი ღვაწლი მიგიძღვით, ამხანაგო ბრეჟნევ, საშუალება მოგვცა უფრო მეტი რწმენით, ვიდრე ოდესმე, მოვმზადებულიყავით ამ კონგრესისათვის, რომელიც უპრეცედენტოა თავისი ხასიათითა და მასშტაბით მშვიდობის დაცვის მოძრაობის ისტორიაში.

გამოდის მოსკოვის კიევის რაიონის № 72 საშუალო სკოლის მასწავლებელი, რუსეთის სფსრ დამსახურებული მასწავლებელი **ზ. ა. მალახოვა**.

ლაურეატის ნიშანზე დიდი ლენინია გამოსახული, თქვა მან. ეს მეტად სიმბოლურია. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იცავს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პრინციპებს. ამ პოლიტიკას თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი.

თქვენთვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება მოწმობს, რომ უდიდესი მსოფლიო ავტორიტეტი მოიხვეჭა ლენინურმა მშვიდობის პოლიტიკამ, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები იწონებენ საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსს.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მტკიცდება და ღრმავდება დღითი დღე მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა. ფართოვდება და ძლიერდება ხალხთა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. წარმატებით ვითარდება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობა.

მოსკოველები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სავსებით იწონებენ და უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას. ჩვენ სულით და გულით ვიზიარებთ იმ მაღალ შეფასებას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტისა და საფრანგეთში მისი შეხვედრების შედეგებს, მის უდიდეს პირად წვლილს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

ყველაფერს, რასაც ჩვენი პარტია აკეთებს, იგი აკეთებს ჩვენი და ჩვენი ბავშვების ბედნიერებისთვის, განაგრძო ორატორმა. ბავშვები ხალხის მთავარი საუნჯეა, მისი მომავალია. აი რატომ ეთმობა ჩვენს ქვეყანაში ესოდენ დიდი ყურადღება მოზარდი თაობის აღზრდას. საბჭოთა საზოგადოება ბავშვებს უნერგავს ახალი ადამიანის შესანიშნავ თვისებებს.

მთავარი, რაც ბავშვთა ბედნიერ მომავალს სჭირდება, — ეს მშვიდობაა. კარგად ვიცით, რომ კიდევ გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი, ვიდრე კაცობრიობის საუკუნო ოცნება ახდებოდეს და დამკვიდრდებოდეს უომო ცხოვრება. მინდა კიდევ ერთხელ სულით და გულით გიძღვნათ, ლეონიდ ილიას-ძევ ბრეჟნევ, მადლობა იმ ფასდაუდებელი წვლილისათვის, რომელიც პირადად შეგაქვთ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უცვლელი საფუძველია კლასობრივი, მარქსისტულ-ლენინური პრინციპები, განაცხადა ზ. ა. მალახოვამ. ამ პრინციპების განხორციელებისათვის საჭიროა სიმტკიცე, სიმამაცე, უდიდესი ცოდნა და გამოცდილება, კომუნისტური რწმენა. სწორედ თქვენი ეს თვისებები, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ხელს უწყობენ თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ბევრი ამოცანის წარმატებით გადაჭრას. თქვენ პირნათლად და ღირსეულად წარმოადგენთ ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს პარტიას ყველაზე პასუხსაგებ მოლაპარაკებებზე.

ტრიბუნაზეა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი, იტალიის კომპარტიის ცენტრალუ-

(დასასრული მე-2 გვ.)

მშვიდობის საქმეში დიდი წვლილისათვის

(დასასრული).

...რი კომიტეტის წევრი, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი **რენატო გუტუზო**. იგი ამბობს:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო პრემიის მინიჭება სასახელოა ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც მისი კანდიდატურა წამოაყენეს და კომიტეტისათვის, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას. იმ კაცის მოღვაწეობას, ვისაც მსოფლიო მასშტაბის პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც ენერგიულად, შეგნებულად და ურყევად იღვწის მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების დამკვიდრებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს კაცი განასახიერებს ადამიანთა ძმობისა და მშვიდობის იდეალებს, რომლებიც ლენინური პოლიტიკის დედაარსს შეადგენენ, მიზნებს, ოქტომბრის რევოლუციის წინაშე რომ იდგა, იმ მთავარს, რომელიც საბჭოთა ადამიანის საქმიანობას და ზნეობრივ სახეს უდევს საფუძვლად.

კანდიდატურაც და ამ პრემიის მინიჭების დროც სწორად იყო შერჩეული, განაგრძო ორატორმა. კაცობრიობას შეუძლია ჩათვალოს, რომ „ცივი ომის" დრო უკვე წარსულს ჩაბარდა სწორედ იმ მტკიცე მოღვაწეობის მეოხებით, რომელსაც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ეწევა საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის განსახორციელებლად.

დასასრულ რ. გუტუზომ განაცხადა: ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება მოწმობს, რომ ყველა კეთილი ნების ადამიანი მხარს უჭერს და მადლიერია მისი მოღვაწეობისა, სიმბოლურად გამოხატავს მათს ნდობასა და იმედებს.

მისალმებით გამოდის საერთაშორისო ლენინური პრემიის კომიტეტის წევრი, „ფინელ მშვიდობის მომხრეთა" ორგანიზაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი **მირიამ ვირე-ტუომინენი**.

ყველა გულწრფელი მშვიდობის მომხრე, თქვა მან, სიხარულით აღნიშნავს, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას. სკკპ XXIV ყრილობაზე მან ჩამოაყალიბა საბჭოთა სამშვიდობო პროგრამა, ახლა კი უკვე წარმატებით გადაიჭრა ბევრი საკვანძო ამოცანა, რომლებიც ამ პროგრამაშია მოცემული. საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარულ პოლიტიკასთან, რომელსაც მიესალმებიან მთელი მსოფლიოს ხალხები და რომელზეც ისინი თავიანთ იმედებს ამყარებენ, განუყრელად არის დაკავშირებული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამასწინანდელი მოლაპარაკება საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებთან დამთავრდა ბევრი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმების ხელმოწერით, რომლებიც ნიადაგს აცლიან ფეხქვეშ ომისა და რევანშის ძალებს. ამის შედეგად ახალი ვითარება შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობაში და შესაძლებელი გახდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მოწყობა. 35 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები ამას წინათ ჰელსინკში, რომ შეიკრიბნენ, ეს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამარჯვება და, ამავე დროს, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნისა და ხალხის საერთო გამარჯვება იყო.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო მან, სიტყვას ქმედითი საქმით ამტკიცებს. ეს ნათლად გამოჩნდა, როცა თქვენ გმირ ვიეტნამელ ხალხს ეხმარებოდით აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა, ჩანს ახლაც, როცა საბჭოთა კავშირი მტკიცედ იღვწის ინდოჩინეთის ხალხთა თვითგამორკვევისა და მშვიდობიანი ცხოვრების უფლების დასაცავად. საბჭოთა ადამიანები სოლიდარობას უცხადებენ, და უცილობლად უჭერენ მხარს არაბ ხალხთა სამართლიან მოთხოვნებს. იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხებს შეუძლიათ იქონიონ საბჭოთა კავშირის — მათს ბრძოლაში ერთგული მოკავშირის დახმარების იმედი.

საერთაშორისო განვითარების ახალი ტენდენციები, აღნიშნა ორატორმა, გამოხატულებას პოულობენ მშვიდობისმოყვარე ძალების კონგრესის მომზადებაში, რაც ახლა წარმოებს. გვიხარია, რომ ეს კონგრესი გაიმართება მოსკოვში, იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მილიონობით ადამიანმა ისწავლა დიდად აფასებდეს ლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ადგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. და ჩვენი ერთსულოვანი აზრით, არ არის სხვა კაცი, რომელიც უფრო იმსახურებდეს საერთაშორისო ლენინურ პრემიას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების მოღვაწეობისათვის, ვიდრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი. იგი მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშას, რომელზეც წარწერილია სიტყვები: მშვიდობა, შრომა და სოციალიზმი.

სიტყვას ამბობს საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ერაყის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი **აზიზ შერიფი**.

მეტად ბედნიერი ვარ, თქვა მან, რომ მხვდა დიდი პატივი მხურვალედ, სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის გადმოცემა. თქვენთვის ამ პრემიის მონიჭება აღიარებაა თქვენი დამსახურებისა საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებისათვის, საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში. მას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკონომიური განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლის მტკიცე და უანგარო მხარდაჭერა. ამ ლენინურმა კურსმა თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა მშვიდობის პროგრამაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ შეიმუშავა. ზუსტად ჩამოყალიბებული ეს პოლიტიკა განსაზღვრულ როლს ასრულებს იმ მრავალმხრივ ბრძოლაში, რომელსაც მსოფლიოს ხალხები აწარმოებენ იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ. მას მოჰყვა ახალი პოზიტიური ძვრები საერთაშორისო ურთიერთობაში.

არაბ ხალხებს, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობიან, მუდამ ეხსომებათ, თუ რა მისცა ამ პოლიტიკამ, განსაკუთრებით მათთვის ყველაზე ძნელ ჟამს.

ორატორმა მოიყვანა არაბული ქვეყნებისათვის საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული დახმარების მაგალითები და განაცხადა, რომ ეს მაგალითები მოჰყავს, რათა საკადრისი პასუხი გასცეს ისრაელის მმართველებსა და რეაქციულ წრეებს, რომლებიც ცდილობენ ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში დამახინჯებულად წარმოადგინონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტის შედეგები. მათ სურთ შეარყიონ არაბი ხალხების რწმენა მათი დიდი მოკავშირისადმი, რისთვისაც ამახინჯებენ ამ ვიზიტის შედეგებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის პრობლემას ეხება, და განზრახ უტიფრად ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირს გადაეხვიოს არაბთა ბრძოლის მხარდაჭერისა და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის კურსიდან. მაგრამ უნდა ითქვას, საჭიროც რომ ყოფილიყო ამ მონაჩმახის უარყოფა, ისინი უკვე დამაჯერებლად უარყო საბჭოთა ხელმძღვანელობამ.

გამოსვლის დასასრულს აზიზ შერიფმა ამხანაგ ბრეჟნევს ყველა არაბი ხალხის სახელით მეტად მხურვალედ და გულითადად მიულოცა და უსურვა დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი მის კეთილშობილურ მოღვაწეობაში საბჭოთა კავშირის პრინციპული ლენინური პოლიტიკის განსახორციელებლად.

სიტყვა ეძლევა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს**.

დამსწრენი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიესალმებიან ფეხზე ამდგარნი, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

დიდად პატივცემულო საერთაშორისო კომიტეტის წევრებო!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დიდი მღელვარების გრძნობით ვიღებ დღეს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინურ პრემიას.

ჩემთვის, კომუნისტისათვის, არა არის რა შრომის იმაზე საპატიო შეფასება, ვიდრე ჯილდო, რომელიც ატარებს დიდი ლენინის — ჩვენი მასწავლებლის, გენიალური თეორეტიკოსის, დახელოვნებული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის სახელს. ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა მოვახსენო საერთაშორისო კომიტეტს, რომელმაც ესოდენ დიდი პატივი დამდო.

საბჭოთა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი — ეს არის ჩვენი კომუნისტური პარტიის კოლექტიური გონებისა და მოქმედების ნაყოფი. ამიტომ ჩემთვის ლენინური პრემიის მონიჭება მიმაჩნია მთელი პარტიის დამსახურების შეფასებად, იმ ხაზის სისწორის საერთაშორისო აღიარებად, რომელსაც მისი ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს. ბედნიერი ვარ, რომ პარტიის რიგებში, რომელმაც აღმზარდა და გამომაწრთო, შემიძლია ვმონაწილეობდე ბრძოლაში დიადი მიზნებისათვის — ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროებისათვის, მიზნებისათვის, რომლებსაც მთელი მშრომელი კაცობრიობა ესწრაფვის.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, აქტიური ბრძოლა მშვიდობისათვის სრულებითაც არ არის დროებითი, კონიუნქტურული ამოცანა. ეს არის ჩვენი პრინციპული, შეგნებულად განსაზღვრული, მუდმივი კურსი, რომელსაც ვახორციელებთ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან ძმური ერთიანობით.

ჯერ კიდევ კარლ მარქსი, რომელიც ჭვრეტდა საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივას, წერდა, რომ როცა მუშათა კლასი შექმნის თავის სოციალისტურ საზოგადოებას, მისი „საერთაშორისო პრინციპი იქნება მშვიდობა, — რადგან თვითეულ ხალხს ეყოლება ერთი და იგივე მეუფე — შრომა!" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 17 გვ. 5, რუს.).

ჩვენმა საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება და ახლა იბრძვის კომუნიზმისათვის — წყობილებისათვის, რომელიც ყველაზე სრულად გამოავლენს ადამიანის შემოქმედებითს შესაძლებლობებს. და გასაგებია, რომ ჩვენი პარტია, რომელიც მეთაურობს ისტორიაში უმაგალითო მომავლის შეგნებულ მშენებლობას, ჩვენი ხალხი, რომელიც უსაზღვროდ ენდობა პარტიას, საკუთარი ხელით ახორციელებს ამ აღმშენებლობითს მუშაობას, თანმიმდევრულად იბრძვიან ომისა და აგრესიის წინააღმდეგ, საიმედო, მტკიცე მშვიდობისათვის დედამიწაზე ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

მართლაც კანონზომიერია ის, რომ სამართლიანი მშვიდობის თავის გაგებას, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის თავის გაგებას საბჭოთა ადამიანები განუყრელად უკავშირებენ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს. სწორედ ლენინმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში მეცნიერული კომუნიზმის თეორია შეაერთა სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის გაძღოლის პრაქტიკასთან. ლენინის აზრისა და ლენინის საქმის ამ შენაღობიდან იშვა სწორედ საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტური კურსის ის პრინციპები და მეთოდები, რომლებითაც ჩვენ, მისი მოწაფეები და მიმდევრები, ვხელმძღვანელობთ და ვიხელმძღვანელებთ მუდამ.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპებს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. ეს არის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძმური ერთიანობის გაძლიერების პოლიტიკა, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებთან კავშირის განმტკიცების პოლიტიკა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, აგრესიის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის პოლიტიკა. ეს არის აქტიური და პატიოსანი დიპლომატიის, ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად და განუხრელად შესრულების პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა შეესაბამება სოციალიზმის ინტერესებს, ყველა ხალხის ინტერესებს, ყველაზე სრულად ასახავს მათს სასიცოცხლო მიზნებსა და მოთხოვნილებებს.

ახორციელებდა რა დიდი ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ წამოაყენა მშვიდობის რეალისტური და, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ნაყოფიერი პროგრამა. ეს პროგრამა შთაგონებულია მაღალი მისწრაფებით — მივაღწიოთ იმას, რომ ცა მუდამ მოწმენდილი იყოს, რომ სამუდამოდ დადუმდნენ ქვემეხები, ხოლო რაკეტებს ვიყენებდეთ მხოლოდ მშვიდობიანი საქმეებისათვის, რომ ატომური ენერგიის დაუშრეტელი ძალა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აღმშენებლობის მიზნებს, სიკეთისა და მშრომელთა ბედნიერების მიზნებს. აი რატომ არის, რომ ჩვენს მშვიდობის პროგრამას მუშები და გლეხები, ყველა, ვინც მშვიდობიანად შრომობს, უდიდესი პატივისცემითა და მადლიერებით ეკიდებიან, სულ უფრო მეტად და სულ უფრო ქმედითად უჭერენ მხარს.

კომუნისტები ყოველთვის იღწვოდნენ იმისათვის, რომ ხალხის მასები, მათი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები ქმედითად მონაწილეობდნენ ომისა და მშვიდობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში, იყონ მსოფლიო პოლიტიკაში აქტიური ძალა და არა გარეშე მეთვალყურენი. ხალხის მასების ხმა შეიძლება აწუხებდეს მხოლოდ იმათ, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებით. და პირიქით: საზოგადოებრიობის ავტორიტეტს, მის აქტიურ მოქმედებას შეუძლია მხოლოდ დაეხმაროს იმ მთავრობებს, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ვსარგებლობ იმით, რომ აქ არიან თვალსაჩინო მოღვაწეები — მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი ყოველნაირად მიესალმება საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში მისი მონაწილეობის განუხრელ გაფართოებას. დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის დასაცავად საზოგადოებრივი მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი, რომელიც წელს მოსკოვში გაიმართება. რაც შეგვეხება ჩვენ, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, მეგობრებო, რომ სავსებით დავუჭერთ მხარს ამ კონგრესს, მის კეთილშობილურ მიზნებსა და ამოცანებს.

წლითიწლობით იზრდება იმათი რიგები, ვინც გადაჭრით და თანმიმდევრულად იბრძვის მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ყველა ქვეყნისა და ერის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის. ეს მეტად კარგი ნიშანია, ეს ყველას ოპტიმიზმის გრძნობას გვინერგავს, მინდა დღეს გულწრფელად მივულოცო მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩემს თანამოძმეებს, ჩვენს საერთო მეგობრებს, რომლებსაც ჩემთან ერთად წელს მიენიჭათ მშვიდობის ლენინური პრემია, — ჩილეს პრეზიდენტს სალვადორ ალიენდეს, ცნობილ ინგლისელ მწერალს ჯეიმზ ოლდრიჯს, ურუგვაისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარეს ენრიკე პასტორინოს. ვუსურვებთ მათ ყველას, ყველა ლაურეატს მშვიდობის პრემიისას, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, ახალ წარმატებებს მათს ჰუმანურ მოღვაწეობაში!

სამართლიანად ამბობენ, რომ გამოცდილება — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მეხსიერება, თაობათა მეხსიერება. ჩვენი გამოცდილება გვასწავლის: მშვიდობა თავისთავად როდი მოდის. მისთვის უნდა იბრძოლო. იმისათვის, რომ დავიცვათ ქვეყნის დამოუკიდებლობა და ღირსება, თვით უფლება ვიცხოვროთ, ვიყოთ ჩვენი მიწა-წყლის და ჩვენი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, ზოგჯერ ყველაზე მძიმე მსხვერპლის გაღება გვიხდება.

ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ საბჭოთა ადამიანების პირველი თაობა შეუდგა რუსეთის რევოლუციურ გარდაქმნას. დღეს საბჭოთა კავშირი მძლავრი, თავისუფალი სახელმწიფოა, რომელიც გულდაჯერებით მიდის კომუნიზმისაკენ. მაგრამ განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩვენს ისტორიაში მშვიდობიანი მშენებლობის ყოველ წელიწად-ნახევარზე მოდის ომისა თუ ომით დანგრეულის აღდგენის წელიწადი?

ახლა შუა ზაფხულია — დრო, როცა აყვავებული ბუნება ავლენს მთელ თავის სიმდიდრეს, თავის დაუშრეტელ შესაძლებლობებს. და ჩვენ მასთან ერთად ვხარობთ სიცოცხლით, ვგრძნობთ მშრომელი ადამიანის მთელ ბედნიერებას. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ დავიწყებიათ და არც დაავიწყდებათ, რომ ზაფხულის ასეთსავე დღეს, ოცდათორმეტი წლის წინათ, ფაშისტური ბომბებისა და ჭურვების აფეთქებებმა დააბნელა მზის ამოსვლა.

ისევე როგორც ჩვენს მილიონობით თანამოქალაქეს, ომის პირველი დღიდანვე მის უკანასკნელ დღემდე ბევრი საფრონტო გზის, უფრო სწორად ბრძოლის ველის უგზოობაში გავლა მომიწია. გული მევსება დიდი სიამაყით იმ უკვდავი გმირობისათვის, რომელიც მამაცმა საბჭოთა ხალხმა ჩაიდინა სამამულო ომის ჟამს. ამასთანავე დიდი მწუხარების გრძნობით ვიგონებ იმათაც, ვინც მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, ვინც აწამეს ჰიტლერულ დილეგებში ან დაიღუპა საკუთარ სახლში მტრის ბომბების აფეთქების შედეგად.

არა მარტო ჩვენი ხალხის ბედი, ჩვენი სამშობლოს მომავალი, არამედ ათობით ქვეყნისა და სხვადასხვა სახელმწიფოს ასობით მილიონი ადამიანის ბედი წყდებოდა მაშინ. და არავის არა აქვს, და არც არავის ექნება უფლება დაივიწყოს ის, რომ თავის არსებობას, თავის თავისუფლებას ჩვენი დროის ადამიანები უდიდეს წილად უნდა უმადლოდნენ გმირ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სახელმწიფოს, დიად სოციალისტურ წყობილებას!

შარშან ვიყავი ქვეყნის ბევრ რაიონში — ნოვოსიბირსკის ოლქსა და ალტაიში, უზბეკეთსა და ყაზახეთში. ეს იყო სახალხო მეურნეობის მიმდინარე ამოცანებთან დაკავშირებული საქმიანი მოგზაურობა. ვმსჯელობდით მოსავალზეც, გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე, იმაზე, თუ როგორ გადაგვეწყვიტა უფრო კარგად, ეფექტიანად სამეურნეო პრობლემები, მაგრამ სადაც უნდა ვყოფილიყავი და რაზედაც უნდა გვესაუბრა, — სამეურნეო აქტივის კრება იყო ეს თუ სამეცნიერო ინსტიტუტში, მინდორში თუ ქარხანაში, — ყველგან გაისმოდა მოკლე და ტევადი სიტყვა: მშვიდობა.

ამ სიტყვას საბჭოთა ადამიანი ძალიან ბევრ რამეს უკავშირებს: სიყვარულს სიცოცხლისა და თავისი სამშობლოსადმი, თავის წარმატებებს აღმშენებლობითს მუშაობაში თავის ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთო იდეალებისათვის. აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, მშვიდობის დაცვა — ეს არის ხალხის განაწესი ჩვენი პარტიისადმი, და წმიდად ასრულებს რა ამას, ითვალისწინებს თავის პასუხისმგებლობას როგორც საბჭოთა ადამიანების ახლანდელი, ისე მომავალი თაობების წინაშე.

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს მოწმენი ვართ — და არა მარტო მოწმენი, არამედ აქტიური მონაწილენიც — ღირსშესანიშნავი მოვლენისა, რომელიც მოასწავებს შემობრუნებას მთელ ომისშემდგომ ისტორიაში: გადასვლას საერთაშორისო ცხოვრებაში მტრული კონფრონტაციის პერიოდიდან, როცა საშიში დაძაბულობა შეიძლებოდა ომის გრიგალად გადაზრდილიყო, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების სულ უფრო მყარი, მშვიდობიანი თანაარსებობის, გონივრული, ურთიერთსარგებლიანობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე დამყარებული მშვიდობისმოყვარული თანამშრომლობის პერიოდზე.

კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ მიმავალი გზა ძნელია, იგი მოითხოვს მეცადინეობასაც და დროსაც. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპები იყო ამ ბოლო წლების მანძილზე ევროპაში დადებული სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი, დასავლეთ ბერლინის შესახებ შეთანხმებათა კომპლექსი. დიდი მნიშვნელობა აქვს პარიზის შეთანხმებებს ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის შესახებ, რომლებიც ამკვიდრებენ გმირი ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებას. თავიანთი როლი შეასრულეს ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა საერთაშორისო აქტებმაც, როგორიც არის, მაგალითად, კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის აკრძალვის შესახებ ან საბჭოთა კავშირ-ამერიკის შარშანდელი შეთანხმებანი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება ისეთი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი. ეს მოლაპარაკება მივუძღვენით ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრის გზების ძიებას, როგორიც არის მსოფლიოს საქმეებში პოზიტიური ძვრების განმტკიცება, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სფეროში იმ პრინციპების დამკვიდრების ამოცანა, რომლებისთვისაც ვიბრძვით ოქტომბრის დროიდან, ვ. ი. ლენინის დროიდან. და უნდა ითქვას, რომ გაწეულმა მუშაობამ მოგვცა რეალური, ხელშესახები შედეგები, სასარგებლო როგორც ჩვენი ხალხისათვის, ისე მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

აბა ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, შემდეგს. თითქმის 30 წლის მანძილზე ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური აფეთქებების მომენტიდან კაცობრიობა ცხოვრობდა ფიქრით, რომ სადღაც, ჰორიზონტს იქით, ხოლო შესაძლებელია არც თუ ისე შორს, იმალება ატომური კატასტროფის საფრთხე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მშვიდობისმოყვარე ადამიანები მოითხოვდნენ, რომ ეს საფრთხე აღმოფხვრილიყო კაცობრიობის ცხოვრებიდან. ახლა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გადავდგით რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით.

მართლაც, განა შეიძლება გადაჭარბებით შეაფასო ის გარემოება, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები — ორი სახელმწიფო, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღის მსოფლიო მარაგის უდიდესი ნაწილი, შეთანხმდნენ თავი შეიკავონ ძალით ან ძალის გამოყენებით დამუქრებისაგან ერთმანეთის წინააღმდეგ, ერთმანეთის მოკავშირეთა წინააღმდეგ, სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომ ისინი შეთანხმდნენ იმოქმედონ ისე, რომ გამორიცხონ ატომური ომის წარმოშობა მათ შორის და თვითეულ მათგანსა და სხვა სახელმწიფოებს შორის. ამის გადაჭარბებით შეფასება, როგორც ჩანს, მართლაც რომ შეუძლებელია!

უკვე მითქვამს ჩვენ, რომ დავჯერდებოდით მარტო ერთ შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან — შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, — ამ შემთხვევაშიც კი დიდი საქმე გაკეთდებოდა.

ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს არ დაყრიან იარაღს იმპერიალიზმის აგრესიული ძალები; ჯერ კიდევ არიან ავანტიურისტები, რომლებსაც საკუთარი ეგოისტური ინტერესებისათვის შეუძლიათ გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი. ამიტომ ჩვენს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიგვაჩნია ისე წარვმართოთ პოლიტიკა, რომ ვერავითარმა მოულოდნელობამ ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს, რომ ყოველ ცდას უკან, „ცივი ომის" დროისაკენ დააბრუნონ მსოფლიო დაუყოვნებლივ გავცეთ საკადრისი პასუხი.

მშვიდობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შემდგომი აქტიური განგრძობა, ჩვენი, როგორც ახლა ამბობენ, მშვიდობიანი შეტევის შემდგომი განგრძობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დაავალა განაგრძოს აქტიური ბრძოლა მშვიდობის პროგრამის სრული რეალიზაციისათვის, ეცადოს, რომ კეთილსასურველ ცვლილებებს, რომლებიც სულ უფრო მეტად იგრძნობა ახლა საერთაშორისო ვითარებაში, შეუქცევადი ხასიათი მიენიჭოს. პოლიტბიუროში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ყველა ჩემი ამხანაგის სახელით მინდა განვაცხადო: ძალ-ღონეს არ დავზოგავთ, რათა შევასრულოთ ეს „მშვიდობის მანდატი", რომელიც პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოგვცა.

დღევანდელი სიტუაციის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ მშვიდობის პროგრამის ზოგიერთი დებულება არსებითად უკვე შესრულებულია, ხოლო სხვების შესრულება საკმაოდ აქტიური ტემპით მიმდინარეობს. ყოველივე ეს გვაიძულებს ახლებურად მივუდგეთ ზოგიერთ საკითხს. და ჩვენც იმაზე ვმუშაობთ, რომ განვსაზღვროთ ჩვენი პოლიტიკის ახალი მიზნები, ახალი მიჯნები, რომელთა მიღწევის გზაზე შევძლებთ უფრო ეფექტიანად გადავჭრათ მთავარი ამოცანა — მშვიდობის განმტკიცება, მშვიდობიანი თანაარსებობა ვაქციოთ სახელმწიფოთა ურთიერთობის უცილობელ ნორმად.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენი პირველი საზრუნავი, როგორც ეს აქამდე იყო, — სოციალიზმის ქვეყნებთან ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაა.

ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ღრმა კმაყოფილების გრძნობით არის გამსჭვალული იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოძმე პარტიები და ხალხები ჩვენთან ერთად აქტიურად შრომობენ მშვიდობიან საქმეებში ახლანდელი შემობრუნების დასამკვიდრებლად.

ჩვენმა საბრძოლო თანამშრომლობამ, ჩვენმა საერთო მხარდაჭერამ გაამარჯვებინა გმირ ვიეტნამელ ხალხს. ჩვენმა ერთობლივმა მოქმედებამ განაპირობა ევროპის მდგომარეობის ის დინამიკური განვითარება, რომელსაც სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა მოჰყვა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ერთიანობის განმტკიცება საერთაშორისო ურთიერთობის მთელ ფრონტზე შემდგომი წინსვლის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია. ჩვენ ახლაც ვამუშავებთ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალიზმის ქვეყნების შემდგომ შეკავშირებას.

წინა წლების მაგალითისამებრ, დიდ ყურადღებას დავუთმობთ აგრეთვე იმას, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობა ეროვნული განთავისუფლების ძალებთან, აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან, რომლებიც, დაადგნენ რა თავისუფლების გზას, ახლა თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეკონომიური და სოციალური განვითარებისათვის იბრძვიან.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, როგორც ჩვენ გვწამს, ის არის, რომ ჩავაქროთ აგრესიის კერა ახლო აღმოსავლეთში. აღარ შეიძლება იმის დაშვება, რომ აგრესორები, ავანტიურისტები აფეთქების საფრთხეს უქმნიდნენ ამ უზარმაზარ რაიონს სრულად უნდა უზრუნველვყოთ არაბი ხალხების უფლებანი, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ. ისრაელმა უნდა გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან. ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის მშვიდობა, უშიშროება და სახელმწიფო საზღვრები გარანტირებული უნდა იყოს, რაც შეგვეხება ჩვენ, კვლავაც მტკიცედ განვაგრძობთ სწორედ ასეთ კურსს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გადავდგათ ახალი ნაბიჯი ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან და მათ შორის უწინარეს ყოვლისა, იმ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების გზაზე, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

კარგად ვიცით და მუდამ გვახსოვს, რომ სოციალიზმის ქვეყნების ხალხებთან ერთად აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ხალხები საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე შეადგენენ, ასე ვთქვათ, მშვიდობის მუდმივი არმიის დიდმნიშვნელოვან ნაწილს. ჩვენ უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ ერთად და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი გზები მომავალშიც არ გაიყრება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მზად არის ყველაფერი იღონოს ჩვენი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

დროის უახლოეს პერიოდში ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იაპონიასა და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით. საქმე ეხება იმას, რომ დავამკვიდროთ ჩვენი ურთიერთობის, მიღწეული გაჯანსაღება, განვახორციელოთ ახალი ეფექტიანი ღონისძიებანი მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავებისა და მისი ფარგლების გაფართოებისათვის. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკულად უნდა შევასხათ ხორცი სრული მოცულობით ყველა იმ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, რომლებიც უკვე შევიდა ძალაში არსებითად ეს ერთსა და იმავე დროს შემდგომი წინსვლის პირობაც არის და წანამძღვარიც.

ევროპაში ჭეშმარიტად პირველი რიგის საქმეა წარმატებით დაწყებული სრულიად ევროპის თათბირის მუშაობის დამთავრება. მიგვაჩნია, რომ თათბირი უმოკლეს ვადაში უნდა მოეწყოს და რაიმე გაუმართლებელი მიზეზების გამო არ უნდა დაყოვნდეს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ჰელსინკში მოძმე ქვეყნებთან თანხმობით შეტანილი პროექტი „გენერალური დეკლარაციისა ევროპის უშიშროების საფუძვლებისა და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპების შესახებ", აგრეთვე წინადადებანი, რომლებიც ჩვენთან თანხმობით შეიტანეს ჩვენმა მეგობრებმა და მოკავშირეებმა. შეიძლება გახდეს ისტორიული ამოცანის რეალიზაციის — მტკიცე მშვიდობის კონტინენტად ევროპის გადაქცევის ქმედითი ინსტრუმენტი.

ჯეროვან ყურადღებას დავუთმობთ, ამხანაგებო, განიარაღების პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. მტკიცედ გვწამს, რომ ევროპაში პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას უნდა მოჰყვეს სამხედრო დაძაბულობის შენელებაც. გრძელდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაც სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის, შემდეგ კი შემცირების შესახებ. იმედი გვაქვს, რომ პროგრესს მივაღწევთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით ჟენევის მოლაპარაკებაზეც, რომელიც განიარაღების პრობლემათა ფართო სპექტრს შეეხება.

ერთი სიტყვით, მოგველის ბევრი საქმე, დიდმნიშვნელოვანი საქმეები, დიდმნიშვნელოვანი არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, როგორც საბჭოთა ადამიანები, არ შეიძლება არ განვიცდიდეთ სიამაყეს იმის გამო, რომ სწორედ ჩვენი, საბჭოთა ქვეყანა, ახორციელებს რა ლენინის ანდერძს, გახდა ის სახელმწიფო, რომელიც მთელ კაცობრიობას უჩვენებს მტკიცე მშვიდობის გზას.

და ამ გრძნობას ღრმა რეალური საფუძველი აქვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა — ეს ხომ იმ მრავალმილიონიანი კოლექტიური ნების გამოხატულება და მეცადინეობის შედეგია, რომელსაც ეწოდება საბჭოთა ხალხი. ამ პოლიტიკას ისტორიულ წა-

(დასასრული მე-8 გვ.).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

რმატებებში თავისი წვლილი შეიტანა ყველა საბჭოთა ადამიანმა — ქალებმა და მამაკაცებმა, მოწიფული ასაკის ადამიანებმა და ახალგაზრდობამ; იმათ, ვინც ადნობს ფოლადს და იმათ, ვისაც მოჰყავს პური; იმათ ვინც შრომობს ლაბორატორიებში და იმათ, ვინც ატარებს ჯარისკაცის ფარაჯას; იმათ, ვინც ასწავლის ჩვენს შვილებს და იმათ, ვინც ზრუნავს ჩვენი შესანიშნავი ხალხის ჯანმრთელობისათვის. და თვითეული მათგანი — უანგარო მშრომელნი, თავიანთი საქმის ერთგულნი, — იმსახურებს უდიდეს მადლიერებას თავისი შრომითი და საბრძოლო მიღწევებისათვის!

ჩვენი საერთაშორისო საქმიანობა საჭირო მშვიდობიან პირობებს ქმნის საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომისათვის. თავის მხრივ, ამ შრომის შედეგები, რომლებიც ხორცშესხმულია ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების გამრავლებით, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებით, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე პარტიის საქმიანობის საიმედო საძირკველია.

ჩვენთან ერთად, ერთიან მწყობრში მიაბიჯებენ ჩვენი ერთგული მეგობრები — სოციალისტური ქვეყნების ხალხები, კლასობრივი ძმები — მთელი მსოფლიოს კომუნისტები, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები, ყველა, ვინც იცავს ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის იდეალებს. გულითად მადლობას მოვახსენებთ ყველა ჩვენს მეგობარს სოლიდარობისა და მხარდაჭერისათვის, რადგან იგი ძალასა და რწმენას გვმატებს, რომ სწორია ჩვენს მიერ არჩეული კურსი.

გვინდა აღვუთქვათ ჩვენს მეგობრებს, რომ ჩვენს პოლიტიკაში მუდამ თანმიმდევრულად შეხამებული იქნება საბჭოთა ქვეყნის ეროვნული ინტერესები და მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესები, ყველა იმათი ინტერესები, ვინც მხარს უჭერს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, დემოკრატიასა და სოციალიზმს. მუდამ მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია ჩვენს მტკიცე მოვალეობად, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენი კომუნისტური რწმენა, ჩვენი სოციალისტური მორალი, ყველაზე ფართო მხარდაჭერა გავუწიოთ თავისუფლების სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ხალხებს. ასე იყო მუდამ, ასე იქნება მომავალშიც.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღევანდელი დღე აღინიშნა დიდი, სასიხარულო მოვლენით ჩემს პირად ცხოვრებაში. თუმცა, როგორც ხედავთ, დღეს მე ვილაპარაკე არა ჩემს პირად განცდებზე, არამედ ჩვენს საერთო საქმეებზე, ჩვენს საერთო წარსულსა და მომავალზე. არ შემეძლო სხვაგვარად მოვქცეულიყავი იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სიყრმიდანვე ეძღვნება პარტიას, მის საქმეებს, მის საზრუნავს.

ლენინური პრემიის მონიჭების შემდეგ ბევრი მილოცვა მივიღე. სულით და გულით მოვახსენებ მადლობას ყველას, ვინც ეს მისალმებანი გამომიგზავნა. სულითა და გულით მოგახსენებთ მადლობას კეთილი სურვილებისა და გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ახლა აქ, ამ დარბაზში წარმოითქვა. ამ სიტყვებში გამოხატული წრფელი გრძნობები გულის სიღრმემდე მაღელვებს და ახალ ძალებს მმატებს.

მშვიდობის ლენინურ პრემიას რომ ვიღებ, მინდა აღვუთქვა ჩვენს პარტიას, საბჭოთა ადამიანებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომ კვლავაც [illegible] ვიშრომებ, რათა მივაღწიოთ ყველაზე მშვენიერ, ყველაზე ჰუმანურ მიზანს — მიზანს, რომელსაც შეიცავს უკვე თვით სახელწოდება ჩემთვის მონიჭებული ჯილდოსი — ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას.

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს ბევრჯერ გაისმა მქუხარე ტაში. საბოლოო სიტყვებს საზეიმო კრების მონაწილენი შეხვდნენ ფეხზე ამდგარნი, მქუხარე ოვაციით.

აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ყველა დამსწრის სახელით ერთხელ კიდევ მიულოცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება, უსურვა ჯანმრთელობა და დიდი წარმატებანი მთელ მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. (საკდეს).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დავამზადოთ 300.000 ტონა ყურძენი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მეტი წილი მევენახეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სპეციალისტებმა, რომლებიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 1971-72-73 წლების სუსხიანი ზამთრის შედეგების დაძლევას, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ვენახების სანიმუშო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მწკრივთშორისების საშემოდგომო-საზამთრო ხვნა, გადაბარვა მწკრივებში, საგაზაფხულო გადახვნა, კულტივაცია და ნიადაგის გამარგვლა ვენახებში, მწვანე ოპერაციები, ბრძოლა მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ დროულად და ხარისხოვნად განხორციელდა გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, წითელწყაროს, ზესტაფონის, თერჯოლის, ვანის, ორჯონიკიძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს ვენახების სიმეჩხრის შემცირებისათვის, როგორც რგვის, ისე წიდვნის გზით. მარტო გასული წლის შემოდგომაზე და მიმდინარე წლის გაზაფხულზე ვენახებში გამოირგო 2.215 ათასი ნერგი, გადაწიდვნულია 3.151 ათასი და მხრის გაგრძელებით შევსებულია 1.315 ათასი მოცდენილი ადგილი. სულ გარემონტებულია 6.781 ათასი ძირი, რაც ფართობზე გადაყვანით შეადგენს დაახლოებით 2.000 ჰექტარს.

მაგრამ დათვალიერებამ გამოავლინა, რომ საგარეჯოს, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრი წყაროს, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, ცაგერის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები ვენახების მოვლის საქმეში. შესაბამისი ტრესტების ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ დასკვნა მევენახეობაში შექმნილი ძნელი მდგომარეობიდან და არ ახორციელებენ გადამწყვეტ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას უამინდობის შედეგები.

მაგალითად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახებში აზოტიანი სასუქების შეტანის გეგმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე შესრულდა 84,2 პროცენტით, და ეს მაშინ, როცა ეს რაიონები სავსებით უზრუნველყოფილი იყვნენ ამ სახეობის სასუქით.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ მთელი რიგი მევენახეობის რაიონების ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად არ რაზმავენ სოფლის მშრომელებს, პირველადს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გასული წლების სუსხიანი ზამთრის შედეგების დასაძლევად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სახარგებლოდ ცნო პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გაწეული მუშაობა რესპუბლიკური დათვალიერებისათვის საზოგადოებრივი ვენახების მოსამზადებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს დაავალა მთელი მუშაობა საზოგადოებრივი ვენახების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაუქვემდებარონ იმას, რომ უთუოდ შესრულდეს ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის 300.000 ტონა ყურძნის მიყიდვის 1973 წლის გეგმა. ამ მიზნით საჭიროა დროულად და მაღალხარისხოვნად განახორციელონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ვენახებში, განსაკუთრებით სოკოვან დაავადებათა მასობრივი გავრცელების პერიოდში, მიაღწიონ იმას, რომ მთლიანად დაიცვან და გადამამუშავებელ მრეწველობას მიჰყიდონ მთელი მიღებული მოსავალი. უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის მოსახლეობისაგან ყურძნის მიყიდვის 1973 წლის გეგმის შესრულება.

პარტიის საგარეჯოს, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრი წყაროს, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, ცაგერისა და ჩოხატაურის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ საზოგადოებრივი ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებიდან და უახლოეს ხანში მიაღწიონ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაეთანხმა პარტიის მთელი რიგი რაიკომებისა და რაიაღმასკომების წინადადებებს, რომ მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება გაიმართოს ყოველწლიურად ივნისის მესამე კვირის შაბათ-კვირას.

(საქინფორმი).

ვ. მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავისათვის



რევოლუციის ორი დიდი პოეტი

ფიქრები მაიაკოვსკისა და გალაკტიონის გარშემო

ორი პოეტის შედარება ყოველთვის სახიფათოა, მით უმეტეს ორი დიდი პოეტისა. ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძე ჭეშმარიტად ორი დიდი, დამოუკიდებელი, საოცრად ორიგინალური, განსხვავებული პოეტური ბუნების, მუსიკალური ხმებისა და ფერების მხატვარია, ოღონდ მათ აერთიანებს მე-20 საუკუნის სამ დიდ რევოლუციასთან, 1905 წლის, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებთან განუყოფელი კავშირი. მათ აქვთ ბიოგრაფიული შეხვედრების საერთო წერტილებიც. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მოწაფეები, 1905 წლის ქარიშხლიანი დღეების ქუთაისის რევოლუციის დემონსტრაციის მონაწილენი:

1905 წელს ვლ. მაიაკოვსკი ბაღდათიდან ქუთაისში ჩამოუყვანიათ და კლასიკურ გიმნაზიაში შესულა: ერთი წლით ადრე გალაკტიონ ტაბიძეც სოფელ ჭყვიშიდან ქუთაისში ჩაიყვანეს და 1900 წელს სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს.

1905 წელს რევოლუციონერთა ქუხილი და მარსელიოზას ხმები ქუთაისის ქუჩებსა და მოედნებს მოედო, სკოლებსა და თეატრებში შეიჭრა. გალაკტიონ ტაბიძე ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად მონაწილეობდა დემონსტრაციაში და მუშებთან ერთად რევოლუციურ სიმღერებს „მარსელიოზასა" და იროდიონ ევდოშვილის „მეგობრებო, წინ, წინ გასწით" მღეროდა.

რევოლუციური ქუთაისი გახდა ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეტური აკვანი. მათი პირველი ხმებიც აქ ჩაისახა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე იგონებს რევოლუციური ქუთაისის დღეებს:

„გაჩნდა სიტყვა პროკლამაცია, პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ, ქართველებს კაზაკები ჰკიდებდნენ, ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ, მე შემძაგდნენ კაზაკები... ქუჩებში სულ ერთიანად მარსელიოზას ჰანგები გაისმის". აქ შეისისხლხორცა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რევოლუციის ხმები და სიმღერები და ეს ბოლომდის მისი სულის ნაწილი გახდა.

ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ იგი საბჭოთა საქართველოში რამდენჯერაც კი ჩამოვიდა, იმდენჯერ თავის ლექსებთან ერთად ევდოშვილის ცნობილი ლექსის სტრიქონებს ზეპირად კითხულობდა:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული.
დე მკერდს სისხლის დალი
აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!

ასეთივე სიყვარულით კითხულობდა ის თბილისის ქუჩებში გაგონილ და დაზეპირებულ სიმღერას არსენა ჯორჯიაშვილზე.

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
ვესროლე ბომბა, მოვკალი
მხეცი,
მაგრამ მტარვალებს ვერ
გავექეცი.

გალაკტიონ ტაბიძის პირად ჩანაწერებში რამდენჯერმე დიდი სიყვარულით არის აღწერილი 1905 წლის რევოლუციის დღეები ქუთაისში, მოწაფეთა მონაწილეობა რევოლუციურ დემონსტრაციებში, პოეტის მონაწილეობა არალეგალურ კრებებში. „აქ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ამხანაგების წრეში წავიკითხე ლექსი „პირველი მაისი", სიამაყით აცხადებს პოეტი. ამავე ჩანაწერებში რამდენჯერმეა ხსენებული ევდოშვილის ცნობილი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!" და რევოლუციური სიმღერა „არსენა ჯორჯიაშვილზე". და აჰა, 1905 წლის რევოლუცია ერთ საერთო გარემოში, რევოლუციის დღეებში ერთად განიცადეს ქუთაისის სკოლის მოწაფეებმა, შემდეგში რევოლუციის დიდმა პოეტებმა: ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და გალაკტიონ ტაბიძემ.

1906 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც მამა მოულოდნელად გარდაეცვალა, ოჯახთან ერთად მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. ვლადიმერ მაიაკოვსკი ახლა მოსკოვში აგრძელებს არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას...

1908 წელს გალაკტიონ ტაბიძე თბილისში ჩამოდის და სასულიერო სემინარიაში შედის. რეაქციის მიერ დარბეული თბილისი, ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობით შერყეული საქართველოს ეროვნული ტკივილები გალაკტიონ ტაბიძემ მწვავედ განიცადა. იგი სემინარიის რეაქციულ სულს ვერ შეეგუა და წინ აღუდგა. ჩანაწერებში წერს: „ბურსას ვერ შევეგუე... ვგამდი რევოლუციურ ჟურნალს „მუშა"...

1915 წელს გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს, მაგრამ უსახსრობის გამო 1916 წელს ბრუნდება უკან. 1916 წლის ბოლოს გ. ტაბიძე კვლავ მოსკოვს გაემგზავრა. 1917 წლის დასაწყისში მოსკოვიდან ბრუნდება ქუთაისს, თებერვლის რევოლუციის დღეებს და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობას გალაკტიონ ტაბიძე მიესალმა ცნობილი ლექსით: „დროშები ჩქარა!" სულ მალე პოეტი მიემგზავრება პეტერბურგს და სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული დღეების მოწმე ხდება.

1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და თბილისის კონსერვატორიის დარბაზში კითხულობს ლექსს „გემი „დალანდი". ამ საღამოზე პირველად გაისმა ქართულ პოეზიაში სახელი — ლენინი.

არალეგალურ რევოლუციურ სკოლაგავლილი ვლადიმერ მაიაკოვსკი პირველი გამოარღვევს ფუტურისტების კორპორაციას და 1918 წელს გადაჭრით აცხადებს: „საჭიროა მივესალმოთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მოვნახოთ მასთან კონტაქტი... მე ხელს ვართმევ რევოლუციას, ჩემს რევოლუციას". და ვლადიმერ მაიაკოვსკი გახდა სწორუპოვარი მხატვარი, პოეტი-ტრიბუნი სოციალისტური რევოლუციისა, ფუძემდებელი და მამა საბჭოთა სოციალისტური პოეზიისა...

1922 წელს გალაკტიონ ტაბიძემ დააარსა თავისი ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი", რომელშიც იგი გამოვიდა ლოზუნგით — „განახლება ან სიკვდილი". ხოლო ამავე ჟურნალის ფურცლებიდან იგი კვლავ აცხადებდა „საქართველოს ორმილიონიანი თვალით ვუცქერი ახალ 1923 წელს და ვამბობ: გაუმარჯოს რევოლუციურ საქართველოს!", ხოლო ერთი წლის შემდეგ პოეტი აქვეყნებს თავის ცნობილ ლექსს „ჩვენ პოეტები საქართველოსი".

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სძგერს ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ეს ლექსი გახდა მანიფესტი ქართული საბჭოთა პოეზიისა, გალაკტიონ ტაბიძე კი მისი მეთაური და მამა.

გალაკტიონ ტაბიძე თავის სტატიებსა და ლექსებში მუდამ დიდი პატივისცემით იხსენიებდა და მიმართავდა საბჭოთა სოციალისტური ლირიკის მამას, ვლადიმერ მაიაკოვსკის. ცნობილ სტატიაში — „ლირიკა" გალაკტიონ ტაბიძე წერს:

„ამ საუბრით მე მივმართავ ჩვენს მზნებარე ახალგაზრდობას.

მიზანი ის არის, რომ გაღვივდეს მოზარდი თაობის გონებაში ინტერესი პოეზიისადმი როგორც მსოფლიოს შემეცნებისა, და მისწრაფება მისი გაუმჯობესებისათვის, ადამიანის სულის ქმედითობის ერთ-ერთი სახისადმი. ვსაუბრობ რა ლირიკის შესახებ, მე გვერდს ვუხვევ მის თეორეტიკას, მე არ ვცდილობ ლექსთაწყობითი კანონების აღმოჩენას: ჩემი მუშაობა სავსებით შემოქმედებით სფეროს ეხება, როგორც პოეტი და მოქალაქე მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები ხალხს და რევოლუციას.

ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია: ეს საქმე ნიჭის გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას, გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მიღწეულ იქნება — მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, შეუპოვარი გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე:

„გრამი მოპოების — წლითა მუშაობით, ამოღებულ უნდა იქნას ერთადერთი სიტყვისათვის — ათასეული ტონები სიტყვიერთ მადნის" — ამბობს მაიაკოვსკი პოეტის მუშაობაზე".

ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როდესაც ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ნათესაობაზე ვსაუბრობთ. აქ არ შეიძლება ვეძიოთ მოწაფეური პარალელები ფრაზებსა და სიტყვების შეხვედრებში. არა, აქ ლაპარაკია ორ დიდ და ნოვატორ პოეტზე, მაიაკოვსკის ბრძოლა ჭეშმარიტი პოეზიისათვის, ბრძოლა პრიმიტივიზმთან, სტანდარტულობასთან, არქაისტებთან, იყო რევოლუციის დიდი პოეტის გზა და ამ პოზიციას იზიარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო დიდი და განუმეორებელი ნოვატორი რუსული ლექსისა. მისმა „ლენინმა", „კარგიამ", „საბჭოთა პასპორტმა" და საბჭოთა პოეზიის სხვა ლირიკულმა ლექსებმა ახალ ხმაზე ააწყო უაღრესად თვითმყოფადი და მაღალი რუსული პოეზია.

ასევე გალაკტიონ ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა. მან ახალ ხმაზე ააწყო ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტი, იგი სიტყვიერი ხელოვნების ნამდვილი ჯადოქარი იყო.

გ. ტაბიძე ვლადიმერ მაიაკოვსკიში ხედავდა რევოლუციის დიდ პოეტს, რომელიც საერთაშორისო რევოლუციის პოეზიის დროშად იქცა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ გალაკტიონ ტაბიძე 1935 წელს პარიზში კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის დელეგატი, სწორედ ამ პირველ ანტიფაშისტურ კონგრესზე წერს ცნობილ ლექსს „ვლადიმერ მაიაკოვსკი", სადაც მაიაკოვსკი გამოცხადებულია საერთაშორისო რევოლუციური პოეზიის, სოციალისტური რეალიზმის მედროშედ. სწორედ აქ, პარიზში გალაკტიონ ტაბიძემ საკუთარი თვალით ნახა, როგორ აერთიანებდა და აკავშირებდა ერთ ბანაკად მსოფლიოს მოწინავე პოეტებს რევოლუციის დიდი პოეტის მაიაკოვსკის სახელი. — „უცებ გაბრწყინდა კონგრესი მაიაკოვსკის ხსენებით". როდესაც ვარკვევთ ვლადიმერ მაიაკოვსკის კეთილ გავლენას ქართულ მწერლობაზე, სწორი როდი იქნება, რომ იგი ვეძიოთ მარტოოდენ ცალკეული ნაწარმოებისა, ცალკეული პერსონაჟებისა თუ მხატვრული პასაჟების უშუალო პარალელებში. არა, ეს გავლენა მოჩანს ქართული საბჭოთა მწერლობის საერთო ხასიათსა და ნოვატორულ თვისებებში.

ქართული საბჭოთა პოეზიის რევოლუციურ სულსა და ხასიათში გამოისახა ვლადიმერ მაიაკოვსკის ახალი, სოციალისტური რეალიზმის პათოსი და ნოვატორული ბუნება. მაიაკოვსკის რევოლუციური პოეზიის ქარიშხალი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციაზე დაფუძნებულ ქართულ საბჭოთა პოეზიას კვლავ თვითმყოფელ ნაკადად მოევლინა. და ამ გზაზე გაუწოდა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მაიაკოვსკის ხელი. კერძოდ იგივე ითქმის გალაკტიონ ტაბიძისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის ურთიერთობაზე. ჩვენ რომ ვეძიოთ, ვერ აღმოვაჩენთ ვლადიმერ მაიაკოვსკის პირდაპირ გავლენას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე, და მაინც მაიაკოვსკის რევოლუციური პოეზიის და მისი დიდებული პოემების „ვლადიმერ ლენინის", „კარგიას" პოეტური სული ქრის გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ-რიდსა", „ეპოქასა" და „რევოლუციურ საქართველოში". რევოლუციურად განწყობილ გალაკტიონ ტაბიძეს არ შეეძლებოდა არ ეგრძნო რევოლუციის დიდი პოეტის „დიდი ძალა". გიორგი ლეონიძე სამართლიანად შენიშნავს: „მაიაკოვსკის ლექსი აპობდა ცრურწმენისა და წინასწარაღიარებული აზრების ქერქს, ანგრევდა უკვე გამტკიცებულ წარმოდგენებს პოეზიაზე. იგი აღვივებდა უჩვეულო სიახლის წინასწარ გრძნობას, სიახლისა, რომლისკენაც სული უგუბდებოდა მკითხველს. იგი გაიძულებდა, რომ გულდია და პატიოსანი მზერით, პოეტ-მოქალაქის მზერით შეეხედნა ყოველივე შენს მიერ შექმნილისათვის, ყველაფრისათვის, რასაც დღეს აკეთებ ან აპირებ გააკეთო ხვალ. აი ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენა ქართულ მწერლობაზე..."

გ. ტაბიძის პოეზია იყო გამოძახილი „რევოლუციის ხანის, რომელიც იყო გუგუნი მთელი ეპოქისა" და უპასუხებდა ამ მოვლენების მიერ დაყენებულ კითხვებს. რევოლუცია იქცა გალაკტიონ ტაბიძის სულის განუყოფელ ნაწილად.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავად იყო რევოლუციური ქარიშხალი მწერლობაში. ამიტომ რევოლუციის ქარიშხალმა თავისუფლად ჰპოვა ბინა მის პოეზიაში. გალაკტიონ ტაბიძის მაღალ პოეზიაში რევოლუცია იგულისხმებოდა და რევოლუციაში პოეზია, ამიტომ არ დასმულა პოეტის წინაშე რევოლუციის მიღების თუ არმიღების საკითხი. რევოლუციამდელი ბევრი ცნობილი ქართველი პოეტის წინაშე მწვავედ იდგა ეს საკითხი. გალაკტიონ ტაბიძის წინაშე არა, რევოლუციასთან წილნაყარ პოეტის სულში ყოყმანის ელემენტიც არ გამოჩენილა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძე ეს ორი დიდი ოსტატია, ორი დიდი პოეტი ოქტომბრის რევოლუციისა. 1973 წელი ამ პოეტების საიუბილეო წელია. მათი იუბილე მთელი საბჭოთა პოეზიის იუბილეა.

სერგი ჭილაია.

უკონტროლობა ათამამებს დამნაშავეს

პარტიის ზესტაფონის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი საჭირო ზომებს არ იღებენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, იჩენენ უპრინციპობას და ლიბერალიზმს

სამარცხვინო, მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა ამ ოთხი დღის წინათ ზესტაფონის რაიონში: მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორმა ვაჟა კონსტანტინეს-ძე ხეცაძემ საპენსიო საქმის მოსაწესრიგებლად მოსულ კაცს — „საქმეტანიონტაჟის" ქუთაისის ტრესტის ზესტაფონის უბნის ზეინკალს ვ. კობახიძეს 800 მანეთი გამოსძალა, ქრთამი აიღო.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება ასეთი მოკლე და ინფორმაციული ცნობით დავკმაყოფილდეთ. დიახ, უსინდისო ადამიანმა ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა, მომხვეჭელობის ჭაობში ჩავარდა და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. სათანადო ორგანოები მკაცრად მიუზღავენ მას.

მკითხველსაც, რომელმაც შესანიშნავად იცის ჩვენი სოციალისტური თანაცხოვრების წესები, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი და მისი პრინციპები, თვად შეუძლია გააკეთოს დასკვნებიც, იმსჯელოს, იკამათოს კიდეც.

მაგრამ, მოდით, გავიხსენოთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 13 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით — „წურბელა". მასში მოთხრობილია, რომ სწორედ აგრეთვე ზესტაფონის რაიონში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. დევდარიანმა მექრთამის ტიტული მიიღო, მან მანქანის მძღოლად დანიშვნისათვის კაცს ფული გამოსძალა.

აი რატომ გვინდა უცებ არ დავუსვათ წერტილი და მარტო, როგორც იტყვიან, ცხელცხელი ამბის მიწოდებით არ შევიქციოთ მკითხველი. საჭიროა პრინციპულად ვთქვათ, გულახდილად ვისაუბროთ, რა მწარეც არ უნდა იყოს ეს, იმაზე, თუ რატომ გადაგვარდა ზოგი ადამიანი, რატომ გათელა მან ფეხქვეშ ჩვენი მორალი და ზნეობა, რამ უბიძგა, რამ წაათამამა, რომ არც არაფრისა რცხვენია და არც ჩვენი მშენებლობისა სჯერა.

მარტო ამ ორ ფაქტს როდი გვინდა ანალიზი გავუკეთოთ. ზესტაფონის რაიონში ამ უკანასკნელ წლებში მომხდარ ამბებს თვალი რომ გავადევნოთ, რომ აღვრიცხოთ მთელი რიგი დანაშაულობანი და სერიოზული დარღვევები, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აქ თითქოს არიან რაღაც უხილავი ძალები, რომლებიც აქეზებენ ბოროტებასა და უკეთურობას. არავითარი გადაჭარბება; დიახ, არის ისეთი უხილავი ძალა — ეს სწორედ ის უკონტროლობა და გულდამშვიდებაა, რასაც ხშირ შემთხვევაში იჩენენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ორგანოები.

ცხოვრება, მოვლენებისა და ამბების ეს მკაცრი შემფასებელი, ძალზე ცხადად გვიჩვენებს, რომ ერთ შეცდომას, ერთ დანაშაულს, დროზე თუ არ შენიშნავ, არ გამოასწორებ და არ აღკვეთავ, მოსდევს მეორე, მესამე და ასე დაუსრულებლად. ზოგჯერ შორიდან მეთვალყურის როლში, ლიბერალური და მამებლური განწყობილების ვითარებაში აღმოჩნდნენ პარტიის რაიკომი (პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი) და რაისაბჭოს აღმასკომი (ყოფილი თავმჯდომარე მ. სამხარაძე). აი რატომ არის, რომ ზესტაფონის რაიონში ირღვევა სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, ადგილი აქვს მექრთამეობას, გამოძალვას, სახელმწიფო ქონების მითვისებას, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების ფაქტებს... დამახინჯებანია მიწათსარგებლობის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და საცხოვრებელი ბინების განაწილების საქმეში.

პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მხრივ უკონტროლობისა და ძალზე დაბალი მომთხოვნელობის გამო, რასაც ისინი კადრების მიმართ იჩენენ, რაიონის ცალკეულ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სუსტია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, არის ფაქტები, როცა უკანონო მოქმედებას სჩადიან ხელმძღვანელი მუშაკებიც, მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ინიშნებიან ადრე ნასამართლევი, არა სანდო, ყოველმხრივ სახელგატეხილი პირები.

სწორედ იმიტომ, რომ პარტიის რაიკომმა, მისმა ბიურომ, რომელშიც სუსტია ურთიერთ მომთხოვნელობა, სათანადოდ ვერ აამაღლა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო კონტროლიორების, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკების პასუხისმგებლობა, რაიონში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია სხვადასხვა დანაშაულობათა რიცხვი, გააქტიურდნენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებიც.

„საქვაჭრობის" რაიონული განყოფილებისა და რაიკოოპკავშირის სავაჭრო ობიექტებში, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებაში, მუსიკალურ სკოლაში, ყველ-კარაქის ქარხანაში, კავშირგაბმულობის განყოფილების ქსელში, ზესტაფონის მაცივარში, საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში, გეოლოგიურ სამმართველოში, ფეროშენადნობთა ქარხნის ცენტრალურ სალაროსა და საწყობში, პურკომბინატის ბაზაში, „სამტრესტის" ღვინის ქარხანაში და ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცალკეული უპატიოსნო პირები, რომელთა შორის პარტიის წევრები, ხელმძღვანელი მუშაკებიც იყვნენ, წლების მანძილზე იტაცებდნენ სახელმწიფო და კოოპერაციულ ქონებას. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ამ დატაცებით 225 ათას მანეთზე მეტია. სავაჭრო ქსელში კვლავ გრძელდება დარღვევები და დანაშაულობანი, თვით ქ. ზესტაფონში ვერ იქნა და ვერ დამყარდა წესრიგი.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სახელმწიფო ქონების დატაცების და მექრთამეობის წინააღმდეგ თითქოს არ მსჯელობდნენ, დადგენილებებს არ იღებდნენ. მათ უმსჯელიათ და დადგენილებებიც ხშირად მიუღიათ, მაგრამ მათი ღონისძიებები ჯერჯერობით ისეთ შურდულსა ჰგავს, რომლიდანაც შორს და მიზანმიმართულად კი არ იტყორცნება, არამედ ძალიან ახლოს ეცემა ეს ნატყორცნი. ყოველ დადგენილებას მაშინ აქვს ფასი, თუ მის შესრულებას სისტემატურად გაუწევ კონტროლს, თუ არ გამოიჩენ საქმისათვის საზიანო შემწყნარებლობას და დროზე განახორციელებ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დანაშაულის აღსაკვეთად.

რატომ მოხდა, რომ მექრთამეობისათვის პარტიიდან გარიცხნენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი ლ. კაკოიშვილი, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო სადგურის უფროსი ლ. ჩაფიძე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსი, პარტბიუროს მდივანი ბ. ნიკოლაიშვილი, ამ განყოფილების გამომძიებელი ლ. კაკაურიძე, რკინიგზის ზესტაფონის სადგურის ვაგზლის უფროსი დ. თურქაძე, საქვაჭრობის რაიონული განყოფილების კადრების უფროსი ინსპექტორი ლ. ყაველაშვილი?!

პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს, პირველადს პარტორგანიზაციებს ამ ფაქტებისათვის თავის დროზე უფრო პრინციპული და მკაცრი შეფასება რომ მიეცათ, მსგავსს და ახალ სამწუხარო შედეგებს აღარ ექნებოდა ადგილი. მაგალითად, როცა შარშან რკინიგზის ზესტაფონის სადგურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მექრთამე დ. თურქაძის პარტიულობის საკითხს განიხილავდნენ, გარიცხვის თაობაზე ზოგიერთმა კომუნისტმა შეიკავა თავი. რატომ? აი სწორედ ასეთი კითხვა არ დასვა არც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ და არც რაიკომმა, კომუნისტთა უპრინციპო, არასწორ პოზიციას სათანადო რეაგირება არ მოჰყვა.

ჯეროვანი პარტიული შეფასება ვერ მიეცა მექრთამე ა. დევდარიანის დანაშაულსაც. საქალაქო საბჭოს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელსაც პარტიის რაიკომის წარმომადგენელიც ესწრებოდა, ძალზე მოკლე ინფორმაციით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი. ამ კრებაზე მთელი პირდაპირობით და სიმწვავით არ ითქვა ა. დევდარიანის, როგორც ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის უკანონო მოქმედებაზე, სრულად არ გამოამჟღავნეს მისი მორალური სახე. კომუნისტებმა არაფერი თქვეს იმის შესახებაც, რომ მათს ორგანიზაციაში ფაქტიურად ჩაშლილი იყო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, რომ ქალაქის საბჭოსა და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში ძალიან ცუდად არჩევდნენ კადრებს, პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაბალი იყო შრომითი დისციპლინა, სათანადო კონტროლს არ უწევდნენ ავტომანქანების გამოყენებას, რითაც არაკეთილსინდისიერ მძღოლებს ხელფეხი ჰქონდათ გახსნილი, რომ ეს მანქანები პირადი გამორჩენისათვის გამოეყენებინათ.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ერთხელაც არ დაინტერესებულან, რომ შეესწავლათ საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხები, ეზრუნათ აქ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, თვითეული თანამშრომლის, თვითეული კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. პირიქით, მათ ერთხანს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე რეკომენდაცია მისცეს დ. კობახიძეს, რომელსაც არ გააჩნდა ხელმძღვანელი მუშაკის თვისებები. სწორედ მისი მუშაობის პერიოდში უხეშად დაირღვა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესები, სწორედ მისი რეკომენდაციით იყო, რომ მექრთამე დევდარიანი ავტოსადგურის დირექტორობიდან ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის და კომუნალური განყოფილების გამგის პოსტზე წამოსკუპდა. შემდეგ, როცა სავსებით აშკარა გახდა, რომ დ. კობახიძემ საქმეს თავი ვერ გაართვა, თავმჯდომარეობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ ისევ ხელმძღვანელ სამუშაოზე — „საქკვებრემმშენის" ზესტაფონის № 5 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს.

მაგრამ კიდევ უფრო უცნაური მოხდა. ამის შემდეგ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე აღმოჩნდა წარსულში სახელგატეხილი ვ. ნებიერიძე, რომელიც რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის დირექტორად რომ მუშაობდა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და 22.662 მანეთის უსაქონლო ოპერაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული. მართალია, სასამართლომ იგი მხოლოდ დაუდევრობისათვის ცნო დამნაშავედ და სამუშაოდან მოხსნა აკმარეს, მაგრამ მისი პარტიულობის საკითხი რატომ არ განიხილეს? მას შემდეგ ვ. ნებიერიძე ორი წელი არ მუშაობდა, 1965-71 წლებში რაიონული სტამბის დირექტორობა მიანდეს, ხოლო შარშანწინ პარტიის რაიკომის რჩევით საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს.

სწორედ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მხრივ უკონტროლობამ, არასათანადო ხელმძღვანელობამ საქალაქო საბჭოს აღმასკომში შექმნა არასახარბიელო ვითარება. აქ უგულებელყოფდნენ და არ განიხილავდნენ ზემდგომი ორგანოების სავალდებულო გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, მოუწესრიგებელი იყო მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა-განხილვა, აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები ვ. ნებიერიძე (თავმჯდომარე), ა. დევდარიანი (მოადგილე), ქ. კახიძე (აღმასკომის მდივანი), ზ. მაღრაძე (ტექბიუროს უფროსი) ზოგჯერ იღებდნენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, ხელს უწყობდნენ იმას, რომ მოქალაქეებს უკანონოდ მიეღოთ მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის.

ამ და სხვა სერიოზულ დარღვევებს არ მიეცა მკაცრი, პრინციპული შეფასება. პარტიის რაიკომის ბიურომ, რომელმაც სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შემოწმების მასალების საფუძველზე განიხილა საკითხი — „ქალაქ ზესტაფონში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის შესახებ", — საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს უკანონო მოქმედებისა და ძალზე უხეში დარღვევებისათვის მხოლოდ პარტიული სასჯელები აკმარა. რაიკომის ბიურომ მთლიანად აუარა გვერდი რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებლობას ამ საკითხში, გამოიჩინა უპრინციპობა.

მამებლობა, ლიბერალიზმი, ერთი სავარძლიდან მეორეში გადასმის პოლიტიკა ჩანს სხვა ფაქტებშიც.

ამ ოთხიოდე წლის წინათ საქვაჭრობის რაიონული განყოფილების მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს შ. კაპანაძე, რომლის მუშაობის დროსაც ქსელში მოხდა გაფლანგვა-დატაცება. ამის შემდეგ პარტიის რაიკომის გადაწყვეტილებით იგი ფეროშენადნობთა ქარხანას კადრების განყოფილების გამგედ მოევლინა. საქვაჭრობის განყოფილებაში კი ხელმძღვანელობა გ. ნემსაძეს დააკისრეს, რომელიც მალე სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლეს. მის ნაცვლად გასული წლის დეკემბერში ა. ყანჩაველი დაინიშნა, რომელსაც მანამდე არც ერთ პოსტზე თავი არაფრით გამოუჩენია.

ასევე 1967 წლიდან პურკომბინატის დირექტორად მუშაობს გ. ბირბიჩაძე, განათლებით ისტორიკოსი, რომელმაც სადაც კი იმუშავა, ვერსად ვერ გაართვა საქმეს თავი. ამის მიუხედავად, მას წლების მანძილზე სხვადასხვა ხელმძღვანელ პასუხსაგებ პოსტებს ანდობდნენ.

ზოგიერთი სახელგატეხილი პირი მუშაობს ამჟამადაც სამტრესტის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანებაში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენჯერმე მოხდა სახელმწიფო ქონების დატაცება.

სერიოზული ნაკლოვანებანია კოლმეურნეობების, სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. სოფლების თავკაცებად აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც უკანონო მოქმედებას სჩადიოდნენ, ხელს უწყობდნენ საკოლმეურნეო ქონებისა და მიწების განიავებას, უშვებდნენ თვალისახვევას, მიწერებს, სხვადასხვა სიყალბეს.

ბევრ ნაკლსა და დარღვევას ჰქონდა ადგილი ძირულის, ტაბაკინის, კლდეეთის, კვალითის, ცხრაწყაროს, ბესლეთის და სანახშირის კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში, რომელთა თავმჯდომარეები მოხსნილი ან განთავისუფლებული არიან თანამდებობებიდან, ზოგი პარტიის რიგებიდანაც გაირიცხა. მაგრამ აქაც პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ყოველთვის ვერ გამოიჩინეს პრინციპულობა და მაღალი მომთხოვნელობის უნარი. მაგალითად, სანახშირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ე. გურგენიძეს, რომელმაც უხეშად დაარღვია საფინანსო დისციპლინა, მიითვისა ხე-ტყის მასალა, თანასოფლელებზე არასწორი ცნობების გაცემით ხელი შეუწყო ფალსიფიცირებული ღონისძიებების რეალიზაციას, პარტიის რაიკომის ბიურომ საადრიცხვო ბარათში შეტანით საყვედური გამოუცხადა. მხოლოდ ზემდგომი ორგანოების ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს გ. გურგენიძე სამუშაოდან და მაშინაც თავისი განცხადების საფუძველზე, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა პრინციპული შეფასება არ მისცეს აგრეთვე ბოსლევისა და ცხრაწყაროს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების გ. მეძველიძისა და მ. ლურსმანაშვილის არასწორ მოქმედებას.

რატომ იგუბებენ პირში წყალს, რატომ ვერ იჩენენ პრინციპულობასა და მომთხოვნელობას რაიონში? როგორც ფაქტები მოწმობენ, რაიონის ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი თვითონ სჩადის შეუფერებელ საქციელს, კარგავს წონასწორობას. ბუნებრივია, ყოველივე ეს ხელს უშლის იმას, რომ საკითხები გადაწყვიტონ ობიექტურად, პრინციპულად, გამოიჩინონ სათანადო მომთხოვნელობა.

მაღალი იდეურობა, პრინციპულობა, ყოველგვარი ნაკლისა და სიმახინჯისადმი შეურიგებლობა, თავმდაბლობა, სიმართლე — აი პარტიული მუშაკის, ხელმძღვანელი ამხანაგის აუცილებელი თვისებანი. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვთ მათ მორალური უფლება ასწავლონ სხვებს და თან გაიყოლიონ ისინი.

„საიდუმლო როდია, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, — რომ ჩვენში დღემდე ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად თავს იჩენენ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული, თავისი არსით სოციალიზმისათვის უცხო სოციალური წყლულები, როგორიც არის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომისადმი, მოშვებულობა, უდისციპლინობა, მომხვეჭელობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების სხვადასხვა დარღვევა. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ამ მოვლენებს, ხალხი დარაზმოს მათთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მათი დაძლევისათვის, რადგან უამისოდ კომუნიზმს ვერ ავაშენებთ!"

სწორედ ეს ჭეშმარიტება ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ პარტიის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომში, ეს პასუხსაგები ამოცანა უნდა იყოს მათი მთავარი, ყოველდღიური საზრუნავი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ პარტიის ზესტაფონის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აუწყეს ფეხი ახალ მოთხოვნებს, სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილებებიდან, აგრეთვე უკანასკნელ ხანს მიღებული სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიდან. ისინი მეტად ზანტად, აუჩქარებლად გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას.

ბ. ალექსიძე.

ВОСЬМОЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1973 МОСКВА

ხელოვნების დღესასწაული — მეგობრობის დღესასწაული

მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალის საზეიმო გახსნა

დედაქალაქის ფონზე გაშლილი ფართო ეკრანი — მსოფლიო კინოხელოვნების მოსკოვის დათვალიერებათა სიმბოლო — კვლავ შეერწყა საბჭოთა დედაქალაქის ქუჩების, მოედნების, პროსპექტების პანორამას. ეს ხილული ნიშანი ყველაზე მასობრივი ხელოვნების მილიონობით მოყვარულისათვის შორს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მერვეჯერ აღიმართა ალამი მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალისა, რომლის პოპულარობა ყოველწლიურად მატულობს. წელს 90-მდე ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები პროგრესული კინემატოგრაფიის უდიდეს ფორუმზე.

ღრმა, ჩვენი ეპოქის შესაფერი აზრია ჩაქსოვილი მოსკოვის ფესტივალის დევიზში — „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის!". და იმაში, რომ ჩვენს დედაქალაქს განსაკუთრებით ბევრი კინომოღვაწე ესტუმრა ყველა კონტინენტიდან — 1200-ზე მეტი კაცი, — აისახა საერთაშორისო ვითარებაში მომხდარ კეთილნაყოფიერ ცვლილებათა სულისკვეთება, რომელიც გამოიწვია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრული სამშვიდობო კურსის განხორციელებამ.

ჭეშმარიტად ფართოა ფესტივალის ეკრანი. მის ფარგლებში გაიმართება მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების, საბავშვო კინოსურათების კონკურსები. ახალ ნაწარმოებებს გვიჩვენებენ სოციალისტური ქვეყნების კინოს ოსტატები, მათი კოლეგები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან. დათვალიერების დამახასიათებელი ნიშანია განვითარებად სახელმწიფოთა ახალგაზრდა კინემატოგრაფების დიდი მონაწილეობა.

კარგი ტრადიციით მოსკოვის მერვე კინოფესტივალის საზეიმო გახსნის ადგილი იყო კრემლის ყრილობათა სასახლე. დედაქალაქის უდიდეს დარბაზში შეიკრიბნენ 10 ივლისს მისი მონაწილენი და სტუმრები, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, სცენარისტები, კრიტიკოსები, პროდიუსერები, ეროვნულ კინემატოგრაფთა ხელმძღვანელები, აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. ტ. ერმაშმა.

— თამამად შეგვიძლია გამტკიცოთ, — თქვა მან, — რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ, სადაც პროგრესული კინო არის, გამოგზავნა წარმომადგენლები აქ, მოსკოვის ფესტივალზე. მაშასადამე, ისინი იზიარებენ ჩვენს დევიზს, მის კეთილშობილებას, მის მაღალ მიზანს. მილიონობით ადამიანი ახალი რწმენით და ახალი იმედით იმეორებს სიტყვებს „მშვიდობას", „ხალხთა მეგობრობას", რადგან პლანეტის დღევანდელი დღე აღინიშნა დაძაბულობის საგრძნობი შენელებით. ეს სკკპ XXIV ყრილობაზე გამოცხადებული მშვიდობის პროგრამის აქტიური განხორციელების შედეგია. ეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წარმატებული ვიზიტების შედეგია.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გამოთქვა იმედი, რომ ფესტივალი ხელს შეუწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, მეგობრული კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება მოსკოვის მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი.

საბჭოთა კინოს მოღვაწეთა სახელით შეკრებილთ მიესალმა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ლ. ა. კულიჯანოვი.

შემდეგ კონკურსების საერთაშორისო ჟიურების თავმჯდომარეებმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ფ. ბონდარჩუკმა (მხატვრული ფილმები), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. მ. ზგურიდიმ (მოკლემეტრაჟიანი ფილმები), მწერალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ს. ვ. მიხალკოვმა (საბავშვო ფილმები) მაყურებელთ წარუდგინეს საფესტივალო დათვალიერებათა არბიტრები.

მარშის ხმებში საზეიმოდ აღიმართა მოსკოვის მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალის ალამი.

კრემლის ყრილობათა სასახლეში ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. შესვენების შემდეგ ნაჩვენები იყო ახალი საბჭოური კინოლენტები.

ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები უდიდესი ინტერესით გაეცნენ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „ქვეყნად მშვიდობისათვის", რომელიც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რევოლუციაში ინტელიგენციის გზაზე, ცხოვრების სოციალური გარდაქმნისათვის ბრძოლაში მისი საუკეთესო წარმომადგენლების მონაწილეობაზე მოგვითხრობს რეჟისორ ა. ზარხის ფილმი „ქალაქები და წლები", რომელიც კ. ფედინის ცნობილი რომანის მიხედვით არის შექმნილი.

ე. ხორევა,
ი. ვექსლერი,
ვ. პეტრუნია,
საქდესის კორ.

გ. ი. ძაძამია

[illegible] სკკპ წევრი 1917 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი გერასიმე ივანეს-ძე ძაძამია.

გ. ძაძამია დაიბადა ხობის რაიონის სოფელ კონტუათში 1888 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში.

1904 წლიდან 1929 წლამდე მუშაობდა სადურგლო სახელოსნოებში. 1929 წელს გ. ძაძამიას ირჩევენ კონტუათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1930 წლამდე. შემდეგ, მუშაობდა ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

გ. ძაძამია არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის წევრად.

უმწიკვლო კომუნისტის, გულისხმიერი მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ერთი მეხოტბე ხალხთა ძმობისა

თეიმურაზ ჯანგულაშვილის დაბადების 50 წლისთავი

თეიმურაზ ჯანგულაშვილის პირველი ლექსები ომის წინა წელს გამოქვეყნდა, იმ წელიწადს, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ახლახან გამოცემულ წიგნში („სიმღერა და მაშვილი") პოეტს ეს ლექსები ცალკე რკალად შეუკრავს. ამ ლექსებს შორის თავის დროზე განსაკუთრებით მომწონდა „ფანდურები", „ფრუნზე", „სიმღერა ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებზე"...

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე უნივერსიტეტში სწავლა შეწყვიტა, სამაგიეროდ საოფიცერო სასწავლებელი დაამთავრა. 1944 წლიდან ომის ბოლო დღემდე უკრაინის პირველ ფრონტზე იბრძოდა როგორც სანაღმტყორცნო ოცეულის მეთაური. პოლონეთის ცეცხლმოდებულ გზებზეც უვლია და გერმანიაშიც ვაჟკაცურად უბრძოლია.

ბრძოლის ველზე შეიქმნა ლექსი „ვისლაზე":

ეს სისხლიანი ტალღები ფართო
ვარსკვლავებდაყრილ ფარებსა ჰგვანან.
ცხრა მთას იქიდან წამოსულ ქართველს
სხვა ხიამაუე მინდოდა განა...
შევჩერდით, დავწვდით, პეშვით, კასკებით
ოფლიან მკერდზე შევისხით წყალი,
და ეს როდია უკანასკნელი —
გადავალახებთ შპრეესაც მალე.

ფრონტულ თემატიკას ეკუთვნის ლექსები „ამ წუხარ ღამეზე", „შენ, მეგობარო, სულ მღერი მაინც", „ცხელი ტყვის და სიმღერის ლელფო", „ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს", „გერმანულ მიწაზე შევედით", „ვინ თქვა, თეთრიაო თოვლი", „ოდერიც გადავლახეთ", „თოფურო"... ბრძოლის შემდეგ, შორეულ გუგუნსა თუ ანაზდეულ სიწყნარეში დაბადებული სტრიქონები საბჭოთა მეომრის — განმათავისუფლებლის სულიერ განწყობილებას წარმოგვისახავენ, გვიჩვენებენ მოძმე ხალხთა შვილების მორალურ სიმტკიცესა და ერთიანობას.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვმოგზაურობდი, ვიხსენებდი თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსებს და თითქოს ვეძიებდი იმ ადგილებს, სადაც ავტორს უვლია და უბრძოლია. მადლობელი ვიყავი ჩემი თანამოკალმისა, რომლის მხედრულმა პოეზიამაც კარგი მეგზურობა გამიწია ამ ქვეყანაში.

პოეტ-ჯარისკაცს თავისი საბრძოლო ბიოგრაფიის მოსაგონრად გარდა მშვენიერი ლექსებისა, წითელი ვარსკვლავის ორდენი და რამდენიმე მედალი დარჩა.

საქართველოში რომ დაბრუნდა, საყვარელ საგარეჯოს მიაშურა: მუშაობდა რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად და რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. 1952 წლიდან თბილისში დაიწყო სამსახური — ჯერ მწერალთა კლუბის დირექტორად, შემდეგ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" განყოფილების გამგედ, ხოლო უფრო გვიან — გამომცემლობა „განათლების" მთავარი რედაქტორის მოადგილედ. როცა გაზეთი „წიგნის სამყარო" შეიქმნა, მისი რედაქტორი გახდა.

ჟურნალ „მნათობის" 1941 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებულ ლექსში თეიმურაზ ჯანგულაშვილი ამბობდა:

არ მიწოვნია ძუძუ ირმისა,
ყმაწვილს არც ჯაჭვის პერანგი მეცვა,
მაგრამ მზის სხივით გულმოსირმული
გმირ წინაპართა მოდგმისა მეც ვარ.
მკერდში მეომრის გული მეც მიცემს,
ჩანჩქერს ჰგავს, მკერდზე გადმოდინებულს,
და თუ რამე მაქვს, ყველაფერს მივცემ,
სამშობლომ ჩემმა ოღონდ ინებოს!

ეს უბრალო პოეტური შეძახილი კი არა, ჯარისკაცული ფიცია საბჭოთა სამშობლოსადმი. მგზნებარე პატრიოტული ლექსებით, ერთგული, სამსახურით, კაიკაცობით პოეტი ადასტურებს, რომ მზად არის ყველაფერი მისცეს ხალხს, ქვეყანას, მშობლიურ პარტიას. ჩვენი ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას ოპერატიულად, გულში ჩამწვდომი ლექსებით ეხმაურება. თანამედროვეობა მისი პოეზიის მაჯისცემაა. ამიტომაც არის, რომ თეიმურაზ ჯანგულაშვილი ასე გულწრფელად უყვართ საქართველოს ყველა კუთხეში; უყვართ არა მარტო საქართველოში. ჩვენს პოეტს ბევრი მეგობარი ჰყავს რუსეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, სომხეთში, ყირგიზეთში, ჩრდილოეთ კავკასიის მოძმე ხალხებში...

ხალხთა ლენინურ ძმობას მრავალი შთაგონებული მომღერალი ჰყავს თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მათ შორის არის თეიმურაზ ჯანგულაშვილი. სხვა ნაწარმოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ტაშკენტის მიწისძვრის დღეებში დაწერილი საუცხოო ციკლი.

იმ დროიდან, როცა გამოვიდა თეიმურაზ ჯანგულაშვილის პირველი წიგნი „ცხრაასორმოცდახუთი", იგი მოწინავე ქართველ პოეტთა რიგებში ჩადგა. ბუნებრივია, რომ ამ წიგნში დიდი სამამულო ომის თემას უჭირავს ძირითადი ადგილი. მკითხველმა ღრმა ინტერესით მიიღო ნიჭიერი პოეტის მომდევნო წიგნები: „ბალადა მიწის გაცოცხლებისა", „შუადღე", „ერთი წლის ლექსები", „გზა, რა გზა", „ზღვისა და მიწის ლეგენდა"...

თეიმურაზ ჯანგულაშვილის კალამს ეკუთვნის ბავშვთათვის განკუთვნილი წიგნები „მოვდივართ, მოგვიხარით!", „კოცონი გორის ციხესთან", „ათი ნემსი", „ალუბლის ტოტის ლეგენდა". დღემდე რუსულ ენაზე გამოცემულია პოეტის სამი წიგნი.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი დიდ დროს უთმობს მთარგმნელობით მუშაობას, მან პირველად ქართულ ენაზე აამეტყველა ყარაყალპაკეთისა და ჩვენი კარის მეზობლების — ჩეჩნებისა და ინგუშების თვითმყოფადი პოეზია; შესანიშნავ პოეტ ვახტანგ გორგანელთან ერთად ქართველ მკითხველს გააცნო ლეგენდარული მუსა ჯალილის ლექსები, მოაბიტის საპყრობილეში რომ დაიწერა.

თეიმურაზის მეგობრებს გვეამაყება ისიც, რომ იგი ავტორია არაერთი საინტერესო პუბლიცისტური წერილისა და მხატვრული ნარკვევისა, აგრეთვე, ისიც, რომ თანამოკალმეთა შემოქმედებითი გამარჯვება მას ყოველთვის გულწრფელად ახარებს; ბევრჯერ უთქვამს და დაუწერია კეთილი სიტყვა თავის კოლეგებზე, უფროსებსა თუ უმცროსებზე.

პოეტის გულს არასოდეს ეკარება ის ავადმყოფობა, რაზედაც გენიალურად უთქვამს სულხან-საბა ორბელიანს: „შური არს მწუხარება უცხოსა კეთილსა ზედა".

ჩვენს მეგობარს ან კი რა აქვს სხვათა შესაშურველი, როცა ნიჭითაც უხვად არის დაჯილდოებული და შრომის უნარითაც, ხოლო ნიჭიერ კაცს შრომის უნარი თუ არ დაჰკარგვია, ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვებებს რა დაულევს!

დარწმუნებული ვართ: მუდამ მაძიებელი და დაუღალავი პოეტი კვლავაც გაგვახარებს ახალი პოეტური გამარჯვებებით.

... ძველ კოლხეთში 50 წლის მიჯნის გადალახვას სიჭაბუკის მეორე ხანის დაწყებას უწოდებდნენ. მეც მინდა სიჭაბუკის ეს ახალი ხანა მივულოცო საყვარელ მეგობარს და ვუსურვო მუდმივი შემოქმედებითი ახალგაზრდობა.

ხუტა ბერულავა.



საჰაერო-საბაგირო გზა ქუთაისში.
გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მ. ჩიბურდანიძე — ფინალში

ბელცში (მოლდავეთი) დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მშვენივრად იასპარეზა 12 წლის თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც როსტოველ ლ. ლიუბარსკაიასთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გაიყო (თვითეულმა 8,5 ქულა მოაგროვა) და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფეხბურთი — სამი მეოთხედფინალური მატჩი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა სსრ კავშირის თასის 32-ე გათამაშების პირველი სამი მეოთხედფინალური მატჩი. აი მათი შედეგები:

„დნეპრი"-„სპარტაკი" — 0:0; „არარატი"-„ზარია" — 2:0; ცსკა-„დინამო" კიევი — 0:2.

მეოთხე მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის გაიმართება დღეს.

მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართება 25 ივლისს, ნახევარფინალები — 1 და 15 აგვისტოს, ხოლო ფინალი — 12 სექტემბერს, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში.

მატჩი ქუთაისში

ქუთაისში გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მე-17 ტურის მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და დუშანბეს „პამირს" შორის, რომლებსაც სატურნირო ცხრილში, შესაბამისად, მე-15 და მე-16 ადგილები უჭირავთ. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „ტორპედომ".

„სპორტლოტოს" ტირაჟი

10 ივლისს ირკუტსკში გაიმართა „სპორტლოტოს" ტირაჟი, რომლის შედეგებია: 26 (მოტორბოლა), 32 (წყალში ხტომა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 46 (ჰოკეი), 27 (მოტოსპორტი), 30 (საიალქნო სპორტი). (საქდესი).

მძლეოსნობა — ა. მოშიაშვილის ორი მედალი

სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა ანატოლი მოშიაშვილმა, რომელიც მსოფლიოს უნივერსიადისათვის ემზადება, დიდ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვში. ანატოლიმ 110 მეტრი თარჯებით გაირბინა 13,8 წამში და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა ა. მოშიაშვილმა ამავე შეჯიბრებაზე როგორც საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების ჩემპიონმა.

100-მეტრიან დისტანციაზე არ გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი, კიეველი ვალერი ბორზოვი. მიუხედავად ამისა, მოსკოველმა ალექსანდრე კორნელიუკმა შესანიშნავი დრო აჩვენა — 10 წამი. ეს შედეგი ევროპისა და ჩვენი ქვეყნის რეკორდების გამეორებაა.

ამავე დისტანციაზე ქალთა შორის „მოსკოვის ტრიოდან" (ნადეჟდა ბესფამილნაია, გალინა მიტროხინა და ლიუდმილა მასლაკოვა) გამარჯვებული გამოავლინა ფოტოფინიშმა. ოქროს მედალი მოიპოვა ნ. ბესფამილნაიამ — 11,4 წამი.

მძლეოსანთა ჩემპიონატის უკანასკნელი სტარტები ხვალ იქნება ლუჟნიკში.

ჭადრაკი — კვლავ ლიდერის როლში

ლონდონი. 11 ივლისი. (საქდესი). ევროპის გუნდური პირველობის მეხუთე ტურში, რომელიც ინგლისის ქალაქ ბატში მიმდინარეობს, საბჭოთა გუნდმა თვალსაჩინო უპირატესობა მოიპოვა შვეიცარიის ნაკრებთან. ანგარიშია უკვე 5:1 (ორი პარტია დაუმთავრებელი დარჩა). გამარჯვებები ჩაიწერეს პირველ დაფებზე მოთამაშეებმა სპასკიმ (30-ე სვლაზე მოუგო ხუგს) და პეტროსიანმა, რომელმაც 23-ე სვლაზე დაამარცხა ლომბარდი.

იუგოსლავიასთან მატჩს ჩვენი მოჭადრაკეები იგებენ 4,5:2,5. კორჩნოიმ პარტიის დამთავრებისას მოუგო ლიუბოევიჩს, ტუკმაკოვმა — მატულოვიჩს. გელერისა და ველიმიროვიჩის გადადებული პარტია კვლავ გადაიდო, რადგან გელერი ხვდებოდა პოლონელ დოდას. საბჭოთა გროსმაისტერმა გაიმარჯვა და სსრ კავშირ-პოლონეთის გუნდების შეხვედრის საბოლოო შედეგია 5,5:2,5 ჩვენი მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ახლა საბჭოთა ნაკრები კვლავ წინ გაიჭრა. 5 ტურის შემდეგ მას აქვს 27 ქულა და სამი გადადებული პარტია. უნგრელებმა მოაგროვეს 24,5 ქულა (გადადებულია 2 პარტია), იუგოსლავებმა — 22 ქულა) 3 გადადებული შეხვედრა).

უკანასკნელი ამბები — მსოფლიო დღეს

კეთილი სურვილები

ბეირუთი, 11 ივლისი, (საქდესი). დღეს ა. პ. კირილენკო ეწვია ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ა. პ. კირილენკომ უსურვა ლიბანელ მეგობრებს წარმატებანი მათ საქმიანობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის საკეთილდღეოდ, ლიბანის რესპუბლიკის მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ისლამაბადი — პაკისტანის პარლამენტის გადაწყვეტილება

10 ივლისი. (საქდესი). დღეს პაკისტანის ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთავრობას ანიჭებს უფლებამოსილებას ცნოს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა ნებისმიერ დროს თავის შეხედულებისამებრ.

სან-ხოსე — კოსტა-რიკის პრეზიდენტი ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

11 ივლისი. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მიერ ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმებანი სარგებლობას მოუტანენ მთელ მსოფლიოს, განაცხადა კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ხოსე ფიგერესმა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგები ხელს შეუწყობენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ისინი დადებითს გავლენას მოახდენენ ყველა ქვეყანაზე, თქვა პრეზიდენტმა.

ბეირუთი — ხალხთა მეგობრობის ორდენი ნ. შაუის

11 ივლისი. (საქდესი). გუშინ აქ გაიმართა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის ნიკოლა შაუისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ორდენი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ.

ა. პ. კირილენკომ და ნ. შაუიმ სიტყვები წარმოთქვეს.

ცერემონიას დაესწრნენ ა. პ. კირილენკოს თანმხლები პირნი, სსრ კავშირის ელჩი ლიბანში ს. ა. აზიმოვი, ლიბანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, ლიბანის პროგრესული პარტიებისა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების წარმომადგენლები, მინისტრები და პარლამენტის დეპუტატები, ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სადილი გაუმართა ა. პ. კირილენკოს.

სანტიაგო — ხორხე გოდოის პრესკონფერენცია

11 ივლისი. (საქდესი). ეკონომიურ ღონისძიებათა „საგანგებო გეგმის" განხორციელება ჩილეს მთავრობის და ყველა მშრომელის მთავარი ამოცანაა, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ახალმა შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ხორხე გოდოიმ. მინისტრმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ამ გეგმის ფარგლებში შემოღებულ უნდა იქნეს ძირითადი საკვები პროდუქტებისა და უპირველესი საჭიროების საქონლის ცენტრალიზებული განაწილება. კითხვაზე, თუ რა მოელით მშრომელთა მიერ დაკავებულ საწარმოებს, ხორხე გოდოიმ თქვა: ეს ღონისძიება ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის გადაწყვეტილებით მივიღეთ 29 ივნისს იმის გამო, რომ რეაქციამ სცადა შეიარაღებული ამბოხება მოეხდინა. მან დასძინა, რომ ეროვნული ეკონომიური კომიტეტი ცალ-ცალკე განიხილავს მფლობელთათვის თითოეული დაკავებული საწარმოს დაბრუნების საკითხს.

ვაშინგტონი — ნანობენ თავიანთ გადაწყვეტილებას

11 ივლისი. (საქდესი). სულ უფრო მეტი ებრაული ეროვნების ამერიკელი ნანობს, რომ თელ-ავივის პროპაგანდას აჰყვა და ისრაელის „აღთქმულ მიწას" მიაშურა. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარ ენდ დეილი ნიუსი" იუწყება, ახლა ისრაელიდან ამერიკაში ბრუნდება ემიგრირებულთა 20 პროცენტი.

ისრაელში ჩასულნი, წერს გაზეთი, აწყდებიან ბევრ პრობლემას, პირველ რიგში, ყოველგვარი საქონლისა და მომსახურების განუზომელ სიძვირეს, უდიდეს გადასახადსა და დაბალ ხელფასს.

ნიუ-იორკი — აფეთქება ქარხანაში

11 ივლისი. (საქდესი). ტეხასის შტატის ქალაქ კლიბურნის მახლობლად განლაგებულ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სამხედრო ქარხანაში მომხდარი მიწისქვეშა აფეთქებების სერიის შედეგად დაიხოცა 7 და დაშავდა 25 კაცი. ტყვია-წამლის ქარხნის მთელი რიგი საამქროები განლაგებულია მიწისქვეშ. როგორც პოლიცია იუწყება, თავდაპირველად გაისმა ორი მძლავრი აფეთქების ხმა, რომლებმაც მიწიდან ათსართულიანი სახლის სიმაღლეზე ამოაფრქვიეს შავი კვამლის სვეტები. მათ მოჰყვა ნაკლებად მძლავრი აფეთქებების მთელი სერია. პირველი ორი აფეთქების სიძლიერე ისეთი იყო, რომ აფეთქების ტალღამ მიწაზე დაანარცხა ორი მუშა, რომლებიც აფეთქების ადგილიდან 400 მეტრზე იყვნენ.

გამოიცა ლენინგრადში

ქართველი მეცნიერის მონოგრაფია

პროფესორ რ. ნ. შელიას მონოგრაფია თემაზე „თავის ტვინის პარკუჭის სისტემის სიმსივნეები" მიძღვნილია ნეირონკოლოგიისა და ნეიროქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული განყოფილებისადმი. ეს სიმსივნეები თავის ტვინის შედარებით იშვიათი ახალწარმონაქმნებია და ძნელად მისაწვდომია ქირურგიული მოცილებისათვის. ისინი კვლავ იზიდავენ ნევროპათოლოგების, ნეირორენტგენოლოგებისა და ნეიროქირურგების ყურადღებას და სულ ცოტა ხნის წინათ გახდნენ ერთ-ერთი საპროგრამო თემა ნეიროქირურგთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობისა, რომელიც მოსკოვში 1971 წელს გაიმართა.

რ. ნ. შელიას მონოგრაფია განაზოგადებს ლენინგრადის პროფ. ა. ლ. პოლენოვის სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტის ვრცელ კლინიკურ და პათომორფოლოგიურ მასალებს, ამ საკითხზე ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას და ავტორის საკმაოდ დიდ პირად გამოცდილებას. (იგი ამჟამად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ასწავლის ნეიროქირურგიას). ნაშრომში მთელი სისრულითა და სიღრმით, თანამედროვე მეცნიერულ დონეზე განხილულია ამ სიმსივნეთა არა მარტო კლინიკის, დიაგნოსტიკისა და პათომორფოლოგიის ფრიად რთული საკითხები, არამედ აგრეთვე საკითხები კომბინირებული ქირურგიული და სხივური მკურნალობისა მისი უახლოესი და შორეული შედეგების დიფერენცირებული შეფასებით თავის ტვინის გვერდითი, III და IV პარკუჭების სხვადასხვა ახალწარმონაქმნების მკურნალობის დროს. ამ მხრივ რ. ნ. შელიას მონოგრაფიული ნაშრომი „თავის ტვინის პარკუჭის სისტემის სიმსივნეები" ერთადერთია არა მარტო სამამულო, არამედ საზღვარგარეთის ლიტერატურაშიც.

მშვენივრად გაფორმებული წიგნი, რომელიც გამომცემლობა „მედიცინის" ლენინგრადის განყოფილებამ მნიშვნელოვანი ტირაჟით (4000 ცალი) გამოუშვა, ძვირფასი შენაძენია და უეჭველად დიდ ინტერესს წარმოადგენს ნეიროქირურგებისათვის, ნევროპათოლოგებისა და მომიჯნავე სპეციალობათა წარმომადგენლებისათვის.

წვიმები, სიგრილე...

საოცრად გრილი ივლისია. მცხუნვარე მზე დროდადრო თუ გვაგრძნობინებს ზაფხულს. 10 ივლისს საღამოხანს თბილისში დიდი წვიმა მოვიდა. წვიმდა აღმოსავლეთ საქართველოს მეტწილ რაიონებში.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსებმა აღნიშნეს, ასეთი წვიმები გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრამ, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება იწყეს კასპიისპირეთის მხრიდან. ჰაერის ცივი მასები შემოიჭრა აგრეთვე დასავლეთის მხრიდანაც. ასეთი პროცესის — ცივი და ცხელი ჰაერის მასების ალრევას ადგილი ექნება კიდევ ორ-სამ დღეს.

გუშინ, 12 საათზე, თბილისში იყო 23 გრადუსი სითბო, ბოლნისში — 20, ყვარელში, ლაგოდეხში, ბაკურიანში — 17, საგარეჯოში — 16, მაღალმთიან რაიონებში 13-14 გრადუსი სითბო.

დღეს, 12 ივლისს, თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესად აღმოსავლეთის რაიონებში იქნება ელჭექის ხასიათის მცირე წვიმა, ტემპერატურა ბარში 24-28, მთაში — 17-21 გრადუსი სითბო.

დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-14 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 25-29, მთაში — 21-25 გრადუსი სითბო.

ამინდი

ტელევიზია

12 ივლისი

პირველი პროგრამით

10.05—კინოპროგრამა, 12.05—მხატვრული ფილმი „კარპუხინი", 16.35—უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქიმიაში, 17.20—სსრ კავშირის ისტორიაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — „სახლი ბაღდადში" (ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავის გამო), 19.20 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 19.45 — „კოლხური ხალიჩა" (გამეორებით), 20.20 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — ციკლიდან „მუსიკის მოყვარულთათვის", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო მიმოხილვა, 22.45 — „უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ღირსეულნი", 23.15 — სპორტული კვირეული, 23.35 — ფერადი ტელევიზია. საბჭოთა კავშირის პირველობა მძლეოსნობაში (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — კონცერტი, 20.40 — განცხადებები, 20.45 — სატელევიზიო ფილმი „უცნობი, რომელსაც ყველა იცნობს" (პირველი სერია).

რადიო

12 ივლისი

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული მუშაკის ტრიბუნა", 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ვოკალური კვარტეტი გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით, 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.35 — „ეკრანის მელოდიები", 12.50 — დ. ჩხეიძე. სავიოლინო კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — უკრაინული მუსიკა, 14.00 — „ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებნი მუსიკაში", (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — გ. კილაძე. ნაწყვეტები ოპერებიდან, 17.35 — მოსწავლეთათვის. „მაიაკოვსკი — დიდი პოეტი და მოქალაქე", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — მღერის ჰ. სიგერი, 19.00 — საუბარი „შრომის სოციალისტური დისციპლინის აღზრდა", 19.20 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ლ. იაშვილი. სიმღერები. 20.30 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „ალეკო", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ლ. მრევლიშვილი. „ყაბახი", 21.40 — ლ. ბეთჰოვენი. მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი და უვერტიურა „ეგმონტი". 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ჩვენ ვისმენთ, ჩვენ ვუყურებთ

თეატრები

12 ივლისი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები